„ფრეკენ იულიას“ წინასიტყვაობაში (რომელიც მწერლის მანიფესტად შეიძლება მივიჩნიოთ) ა. სტრინდბერგი წერდა, რომ მისი გმირების (ამ შემთხვევაში ფრეკენ იულიას) ბედი მოტივთა სიმრავლითაა განპირობებული, „მოტივების ამ სირთულით მე ვამაყობ, რადგან ძალზე თანამედროვედ მიმაჩნია ეს... ადამიანებისადმი ავტორის საერთო განაჩენი: — ის სულელია, ის ტლანქია, ის ჭკვიანია, ის ძუნწია და ა. შ. უკუგდებული უნდა იქნას ნატურალისტის მიერ, რომელმაც იცის, თუ რაოდენ მდიდარია სულიერი კომპლექსი და რომელიც გრძნობს, რომ „ბიწიერებას“ ხშირად მეორე მხარეც აქვს, ქველმოქმედებასთან ძალზე მიმსგავსებული.

ნიმუშად თანამედროვე ხასიათებისა, რომელნიც გარდამავალ ეპოქაში ცხოვრობენ, უფრო მეტად არეულსა და ისტერიულ ეპოქაში, ვიდრე, ბოლოსდაბოლოს, წინამდებარე ეპოქა იყო, მე გამოვხატე ჩემი ფიგურები უფრო გაორებულნი, მერყეევნი, რომელნიც ძველისა და ახლის ნაზავს წარმოადგენენ“.

სტრინდბერგის პიესების სხვა პარადოქსი იმაშიც მდგომარეობს, რომ რაც უფრო დახვეწილია, ინტელექტუალურია, სულიერად რაფინირებულია გმირი, ანუ, სტრინდბერგის გამოთქმა რომ ვიხმაროთ — რაც უფრო „მრავალმოტივიანია“ იგი, მით უფრო იზრდება მისი დამარცხების შესაძლებლობა: მამა (პიესა „მამა“) მეუღლესთან შედარებით ცივილიზაციის და ინტელიგენტურობის განსახიერებაა, არტილერიის კაპიტანი („სიკვდილის ცეკვა“) ფართო ინტერესებით ცხოვრობს; ფრეკენ იულია წმინდა სისხლის არისტოკრატია, ერიკ XIV გონებრივად ამაღლებულია, მაგრამ ბუნებით ინფანტელური — მათი მოქმედების განსაზღვრა ერთი რომელიმე ხასიათით შეუძლებელია. ამ გმირებს ამარცხებენ (აცხადებენ გიჟებად — „მამა“, აგიჟებენ — „ერიკ XIV“) ღუპავენ შედარებით ცალმხრივი, — „ერთმოტივიანი“ ადამიანები, რომლებიც ცხოველური სიჯიუტით და ძალით იღწიან თავიანთი ნების დამკვიდრებისათვის.

მით უფრო კეთილშობილურია ამ „რთული ადამიანების“ (სტრინდბერგის გამოთქმაა) ბრძოლა და მით უფრო ტრაგიკულია მათი დამარცხება ანტაგონისტის მიერ. სულიერად მდიდარი ადამიანების ამბოხი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მარცხით მთავრდება, თუმცა ვერც მისი მოწინააღმდეგების გამარჯვებას მივიჩნევთ ტრიუმფად. ჩვენ წინ არის წინააღმდეგობის აგონიით შეპყრობილი საზოგადოების სურათი. ეს არის ინდივიდის ღრმა სოციალური და სულიერი კრიზისი, რომელიც არაჩვეულებრივი ძალით გამოხატა სტრინდბერგმა, ეს არის პრობლემა, რომელიც არანაკლები ძალით იპყრობდა და იპყრობს ჩვენი საუკუნის დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დრამატურგების ყურადღებასაც (ო'ნილი, პირანდელო, ბეკეტი, ოლბი), ოღონდ ესაა, შვედი დრამატურგი ყველაზე გახელებული მეამბოხე იყო, ყველაზე დაუცხრომელი მებრძოლი წინააღმდეგ მის ირგვლივ არსებული ბურჟუაზიული საზოგადოებისა, სადაც იგი უკვე უცხო იყო“ (თ. მანი).

ნ. ბ.

საჯარო ბიბლიოთეკა

№ 10
1984 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავგუსტ სტრინდბერგი

მამა

როტმისტრი
ლაურა, მისი ცოლი
ბერტა, მათი ქალიშვილი
ექიმი ესტერმარკი
პასტორი
ძიძა
ნიოიდი
დენშჩიკი

მოქმედება მიმდინარეობს სტოკჰოლმის მახლობლად მდებარე მამულში. ჩვენი დრო.

გარემო: როტმისტრის ოთახი, უკანა პლანზე, მარჯვნივ კარია, შუა ოთახში დიდი მრგვალი მაგიდა, რომელზეც გაზეთები და ჟურნალები აწყვია. მარჯვნივ ტყავის დივანია, მის წინ მაგიდა დგას. მარცხენა კუთხეში შპალერაკრული კარია, მარცხნივ — ბიურო, საათი და საცხოვრებელ ოთახებში გამავალი კარი, კედლებზე ჰკიდია იარაღი, პისტოლეტები, ფალასკები. კართან დგას საკიდარი, რომელზეც ფორმის ტანსაცმელი ჰკიდია. დიდ მაგიდაზე ლამპა ანთია.

პირველი მოქმედება

პირველი გამოსვლა

(როტმისტრი და პასტორი სხედან ტყავის დივანზე. როტმისტრს ფორმის სერთუკი და დეზებიანი ჩექმები აცვია, პასტორს კი შავი სამოსი, ოღონდ თეთრი ჰალსტუხი უკეთია. პასტორი ჩიბუხს აბოლებს. როტმისტრი რეკავს).

დ ე ნ შ ჩ ი კ ი. რას მიბრძანებთ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ნიოიდი აქაა?

დ ე ნ შ ჩ ი კ ი. სამზარეულოში იცდის.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ისევ სამზარეულოშია? ახლავე გამომიგზავნე.

დ ე ნ შ ჩ ი კ ი. არის, ბატონო როტმისტრო!

(გადის).

პ ა ს ტ ო რ ი. ისევ უსიამოვნო ამბავია?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ამ არამზადამ ისევ რაღაც იმა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმუნა მოახლესთან. პირდაპირ აუტანელი კაცია.

პ ა ს ტ ო რ ი. ნიოიდზე ამბობ? შარშანაც ხომ ასეთივე ამბავი დაატრიალა?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დიახ, დიახ. გახსოვს? თუ ღმერთი გწამს, უთხარი რამე... მეგობრულად... იქნებ ზეგავლენა მოახდინო! მე ვეჩხუბე, ვცემე კიდევაც, მაგრამ არაფერმა უშველა.

პ ა ს ტ ო რ ი. მერედა, ახლა გინდა დავმოძღვრო? გგონია, კავალერისტზე ღვთიური სიტყვა იმოქმედებს?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ჩემზე არ მოქმედებს, როგორც მოგეხსენება...

პ ა ს ტ ო რ ი. ძალიან კარგადაც მომეხსენება.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მასზე კი სხვა ამბავია! ყოველ შემთხვევაში, სცადე.

მეორე გამოსვლა

ი გ ი ვ ე ნ ი და ნ ი ო ი დ ი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. კიდევ რა ჩაიდინე, ნიოიდ?

ნ ი ო ი დ ი. მომიტევეთ, ბატონო როტმისტრო, მაგრამ პასტორთან ვერ ვიტყვი.

პ ა ს ტ ო რ ი. ნუ გერიდება, ჩემო კარგო.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. სიმართლე თქვი, თორემ ჩინებულად იცი, რაც მოგივა.

ნ ი ო ი დ ი. იცით, გაბრიელასთან ვცეკვავდი... ჰოდა, ლიუდვიგმა თქვა...

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რა შუაშია ლიუდვიგი?... ნუ მიედ-მოედები!

ნ ი ო ი დ ი. ხოლო ემამ კალოზე წამოდიო, მითხრა.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მაშ, თვითონ ემამ გაცდუნა, არა?

ნ ი ო ი დ ი. რაღაც ამდაგვარი მოხდა. შემდეგ კი, ნება მიბოძეთ გითხრათ, თუ ქალმა არ მოისურვა, კაციშვილი ვერაფერს გააწყობს.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მოკლედ და ნათლად: ბავშვი შენია თუ არა?

ნ ი ო ი დ ი. აბა, ვინ იცის?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რაო? არ იცი?

ნ ი ო ი დ ი. ბავშვი ვისია, ვერავინ და ვერასდროს გაიგებს!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. განა შენ... მარტო არ იყავი?

ნ ი ო ი დ ი. მაშინ კი... ხოლო შემდეგ... განა შეიძლება იცოდე, მარტო შენ იყავი თუ არა...

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ლიუდვიგსა სდებ ბრალს? ამის თქმა გინდა?

ნ ი ო ი დ ი. განა შეიძლება კაცმა იცოდეს, საკუთრივ ვის დასდოს ბრალი ამგვარ საქმეში?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი — ჰო, მაგრამ აკი ემას ეუბნებოდი, შეგირთავო...

ნ ი ო ი დ ი. ამას ხომ ყოველთვის ვამბობთ კაცები!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (პასტორს) საშინელებაა!

პ ა ს ტ ო რ ი. ეგ ძველი ამბავია! მისმინე, ნიოიდ. არა! შენ თვითონ ხომ უნდა იცოდე, ბავშვი შენია თუ არა!

ნ ი ო ი დ ი. დიახ, ჩვენ შორის... მართალია... მაგრამ თვითონაც მოგეხსენებათ, ბატონო პასტორო, რომ ასეთ ამბავს შედეგი შეიძლება არც მოჰყვეს.

პ ა ს ტ ო რ ი. საქმე ახლა შენ გეხება, ძვირფასო! ბავშვიანი ქალი გინდა მიატოვო? ძალად რომ შეგართვევინონ, არ შეიძლება, ბავშვზე კი უნდა იზრუნო!... ეს შენი მოვალეობაა.

ნ ი ო ი დ ი. ლიუდვიგმაც უნდა იზრუნოს!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მაშ, სასამართლომ განსაჯოს ამათი ამბავი! მე კი ამ საქმის გარჩევა არ ძალმიძს და არც მ[illegible]ანიკეგა! გასწი აქედან!

პ ა ს ტ ო რ ი. ნიოიდ, კიდევ ერთი რამ მინდა გითხრა! შენი ფიქრით უნამუსობა არაა ბავშვიანი ქალის მიტოვება? ა? არა გგონია, რომ ამგვარი საქციელი... ჰმ... ჰმ...

ნ ი ო ი დ ი. ბატონო პასტორო, დანამდვილებით რომ ვიცოდე, ბავშვი ჩემია... მაგრამ ამას ხომ ძეხორციელი ვერასდროს გაიგებს... სხვისი ბავშვის მთელი სიცოცხლე მოვლაც ასევე მაინც და მაინც სასიამოვნო არაა. ეს თქვენც მოგეხსენებათ, ბატონო პასტორო, და ბატონ როტმისტრსაც.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მოწყდი აქედან!

ნ ი ო ი დ ი. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ბატონო როტმისტრო!

(გადის).

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ოღონდ იცოდე, საშზარეულოში შენი ბუნდღა არ ვნახო, შე არამზადავ, შენა!

მესამე გამოსვლა

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი და პ ა ს ტ ო რ ი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რატომ არ გაჯორე რიგიანად?

პ ა ს ტ ო რ ი. როგორ? ვითომ არ დავტუქსე?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. იჯექი და წვერებში რაღაცას ბუტბუტებდი!

პ ა ს ტ ო რ ი. ჰო, მართალი გითხრა, არც კი ვიცი, რა ვთქვა! რასაკვირველია, ქალიშვილი მეცოდება, მაგრამ უმაწვილიც ცოდვაა! აბა, ერთი წარმოიდგინე, რომ ბავშვი მისი არაა! ქალს შეუძლია შვილი ოთხი თვე სააღმზრდელო სახლში გამოკვებოს და ბავშვის საქმე სამუდამოდ იქნება მოგვარებული! უმაწვილს კი არ შეუძლია მას ძუძუ აწოვოს! ქალიშვილს შეუძლია შემდეგ ძიძად დადგეს უფრო კარგ ადგილას, უმაწვილს კი ცხოვრება აერევა, თუ პოლკიდან გააგდეს.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ჰო, მე არ მინდოდა მოსამართლის როლი შემესრულებინა და განაჩენი გამომეტანა. რა თქმა უნდა, უმაწვილის სრულ უდანაშაულობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ სინამდვილის გაგებაც ასევე შეუძლებელია. ერთი რამ კი ცხადია, გოგო არის დამნაშავე, თუ დამნაშავე აუცილებლად უნდა იყოს.

პ ა ს ტ ო რ ი. დიახ, დიახ. მე არავის ვდებ მსჯავრს, რაზე ვლაპარაკობდით, ვიდრე ეს საამო ამბავი გამოტყვრებოდა? ჰო, ბერტასა და მის კონფირმაციაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. კაცმა რომ თქვას, ბერტას კონფირმაციაზე კი არა, მთლიანად მის აღზრდაზე. ჩვენი სახლი ქალებითაა სავსე და ყველას სურს ბერტა თავის ჭკუაზე აღზარდოს. სიდედრს უნდა სპირიტი გამოიყვანოს, ლაურას — მხატვარი, გუვერნანტს — მეთოდისტი, მოხუც მარგრეტს — ბაპტისტი, მოახლეები ხსნის არმიაში ექაჩებიან. ასეთ ჭრელ ვითარებაში ხომ არ შეიძლება სერიოზულად ილაპარაკო სულზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემს ყოველ ნაბიჯს მხოლოდ და მხოლოდ წინააღმდეგობას უწევს დიდი და პატარა. შვილის აღზრდის უფლება კი ყველაზე უფრო მე მაქვს. ამიტომაც ბერტა ამ გარემოს უნდა გამოვგლიჯო!

პ ა ს ტ ო რ ი. ძალიან ბევრი ქალი გამგებლობს შენს სახლში.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ნამდვილად! ჩემი სახლი ვეფხვების გალია გეგონება! და ამ ვეფხვებს ცხვირში რკინის გავარვარებულ წნელს რომ არ ვჩრიდე, პირველივე ხელსაყრელ წუთში დამგლეჯნენ!... ჰო, რა თქმა უნდა, გეცნობა!... შენ რა გიჭირს, შენი და ხომ შევირთე და შევირთე, მერე ადექი და ღედინაცვალიც გადმომილოცე!

პ ა ს ტ ო რ ი. აბა, შეიძლება კაცს შინ დედინაცვალი გყავდეს?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რა თქმა უნდა, სიდედრი სჯობს, მაგრამ განსაკუთრებით როცა სხვებთანაა!

პ ა ს ტ ო რ ი. დიახ, დიახ, ყველას თავისი ხვედრი აქვს ცხოვრებაში.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ჰო, მაგრამ ჩემი ხვედრი ძალზე მძიმეა! შინ ბებერი ძიძაც მყავს, რომელიც ისე მეპყრობა, თითქოს ახლაც პატარა ბალღი ვიყო! ძალიან საყვარელი ქალია, მაგრამ მართალი გითხრა, აქ მისი ადგილი არაა.

პ ა ს ტ ო რ ი. სიძევ ბატონო, მთელი ეს ქალთა სამეფო ხელში უნდა გეჭიროს, შენ კი თავის ნებაზე გყავს მიშვებული.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ჩემო კარგო, იქნებ მასწავლო, როგორ დავიჭირო!

პ ა ს ტ ო რ ი. ლაურა ჩემი დაა, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ყოველთვის ჯიუტი იყო.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ლაურას, რასაკვირველია, არასასიამოვნო თვისებები აქვს, მაგრამ იგი არც ისე საშიშია!

პ ა ს ტ ო რ ი. აბა, აბა, ნუ გერიდება, ჩემი დის ამბავს შენ რას მასწავლი!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მართალია, რომანტიკულად აღიზარდა და ხანდახან უჭირს ცხოვრებისეულ ურთიერთობებში გარკვევა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, იგი ჩემი ცოლია...

პ ა ს ტ ო რ ი. და ვინაიდან შენი ცოლია, ამიტომ სხვებზე უკეთესია, ხომ! არა, სიძევ ბატონო, ყველაზე მეტად სწორედ ის გტანჯავს.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ისე, ახლა ჩვენი სახლი თავდაყირა დადგა. ლაურას არ უნდა ბერტას დაშორდეს, მე კი ამ საგიჟეში ბავშვს არამც და არამც არ დავტოვებ!

პ ა ს ტ ო რ ი. ოჰო? მაშასადამე, ლაურას არ უნდა. მაშ, დიდ უსიამოვნებებს უნდა ველოდოთ! პატარა რომ იყო, მკვდარივით ეგდო ხოლმე მიწაზე, სანამ სურვილს არ შეუსრულებდნენ... ხოლო როცა მისცემდნენ, რასაც ითხოვდა, უკანვე აბრუნებდა, ეს სულაც არ მჭირდებოდაო. ოღონდაც ოფრფები დაეფრინა და მეტი არა უნდოდა, ოო.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მაშინაც ასეთი იყო! ჰო, ჰო... დროდადრო ამდაგვარი რამ ახლაც ემართება და მისი ამბავი მაფიქრებს... მეჩვენება, რომ ავადაა.

პ ა ს ტ ო რ ი. ერთი ეს მითხარი, რა გეგმები გაქვს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, ლაურა ასე რომ ეწინააღმდეგება?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. თუ ღმერთი გწამს, არ იფიქრო, თითქოს მინდა, ბავშვი განსაკუთრებულ ადამიანად ვაქციო, ანდა ჩემი ალი-კვალი გავხადო! მაგრამ არც ის მინდა, მისი მაჭანკალი ვიყო და მხოლოდ და მხოლოდ ცოლის როლის აღსასრულებლად აღვზარდო, ვინაიდან თუ ვერ გათხოვდა, თავს უბედურად იგრძნობს. მეორეს მხრივ, არ ვაპირებ მოვამზადო, ასე ვთქვათ, მამაკაცური გზისთვის, რომელსაც მრავალი წლის შრომა სჭირდება, და ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუკი გათხოვდა.

პ ა ს ტ ო რ ი. მაინც რა გინდა?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მინდა, მასწავლებლად მოეპზადოს. თუ ვერ გათხოვდა, თვითონ იზრუნებს საკუთარ თავზე და ბოლოს და ბოლოს, ყველა იმ უბედურ მასწავლებელზე მძიმე დღეში არ ჩავარდება, რომელნიც იძულებულნი არიან თავიანთი ჯამაგირი ოჯახს უწილადონ. გათხოვდება და ცოდნას საკუთარი შვილების აღზრდას მოახმარს. განა ეს სწორი არაა?

პ ა ს ტ ო რ ი. სწორია, მაგრამ ბავშვს მხატვრობის ისეთი ნიჭი გამოაჩნდა, ძალდატანება იქნებოდა ეს ნიჭი ხელოვნურად ჩაგვეხშო.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არა, ბერტას ნახატები ერთ ნამდვილად გამოჩენილ მხატვარს ვაჩვენე, რომელმაც მითხრა, აქედან დიდი არაფერი გამოვაო. შარშან ზაფხულში კი აქ ვიღაც იდიოტი გამოჩნდა და გამოაცხადა, ქალიშვილს უდიდესი ნიჭი აქვს მომადლებულიო; ჰოდა, ბავშვის ბედი ლაურას სასიამოვნოდ წყდება.

პ ა ს ტ ო რ ი. რაო, იმ კაცს გოგონა ხომ არ შეუყვარდა?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არ მეეჭვება.

პ ა ს ტ ო რ ი. მაშინ, ჩემო კარგო, ვერავითარ გამოსავალს ვერ ვხედავ... უსიამოვნო ამბავია, მაგრამ ლაურას, რა თქმა უნდა, მხარდამჭერიც ჰყავს.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ო, თავისთავად. მთელი სახლი ცეცხლის ალშია გახვეული და, მართალი გითხრა, ეს სრულიადაც არაა პატიოსნური ომი.

პ ა ს ტ ო რ ი. (ზეზე დგება). შენ გგონია, ასეთი რამ მეუცხოება?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. შენც ამ ცეცხლში ხარ?

პ ა ს ტ ო რ ი. მეც...

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ყველაზე ცუდი კი სხვა რამ არის. ჩემი ფიქრით, ბერტას მომავალზე ატეხილი მთელი ამ დავიდარაბის თავი და თავი ჩემდამი უსაზღვრო სიძულვილია. მოწინააღმდეგენი ნიადაგ გაიძახიან, კაცი უნდა დარწმუნდეს, რომ ქალი ამის და ამის შემძლეაო! კაცს და ქალს გაუთავებლად, დილიდან საღამომდე უპირისპირებენ ერთმანეთს. შენ რა, წახვლას აპირებ?.. დარჩი... საღამოს ვიმასლაათოთ! განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ მოგეხსენება, ახალ ექიმს ველოდები. ხომ არ გინახავს?

პ ა ს ტ ო რ ი. თვალი მოვკარი... გვერდით ჩავუ-

არე... ერთი შეხედვით კეთილშობილი კაცი ჩანს, გულგახსნილი.

როტმისტრი. ჰო.. სასიამოვნოა... როგორ გგონია, ჩემი მხარდამჭერი იქნება?

პასტორი. ვინ იცის? ეს იმაზეა დამოკიდებული, რა საერთოს გამონახავს ქალებთან.

როტმისტრი. იქნებ დარჩენილიყავი?

პასტორი. არა, მადლობა, ჩემო კარგო, შინ დავიბარე, საღამოს მოვალ-მეთქი და რომ არ მივიდე, ბებრუხანა შეწუხდება.

როტმისტრი. შეწუხდება?... შეწუხდება კი არა, ერთ ამბავს დააწევს!.. კარგი, როგორც გინდა! ქურქის ჩაცმაში მოგეხმარო?

პასტორი. ცივა დღეს!... გმადლობ... შენ მაინც თავს გაუფრთხილდი! ძალიან განერვიულებული ჩანხარ!

როტმისტრი. განერვიულებული?... მე?...

პასტორი. დიახ, დიახ, ცუდად ხარ?!

როტმისტრი. ლაურამ ხომ არ ჩაგაგონა? აგერ, უკვე ოცი წელიწადია მისი თქმით საიქიოს კანდიდატი ვარ!

პასტორი. ლაურამ? არა, მაგრამ მე შენი მდგომარეობა მაწუხებს! თავს გაუფრთხილდი! გულწრფელად გირჩევ! აბა, მშვიდობით, ჩემო კარგო! მაშ კონფირმაციაზე ლაპარაკი არ გინდოდა, არა?

როტმისტრი. არც მიფიქრია. ბავშვის აღზრდა ჩვეულებრივი გზით უნდა წარიმართოს... მე არც ჭეშმარიტების მატარებელი ვარ და არც მოწამე. და კმარა!... ნახვამდის... კარგად იყავი.

პასტორი. მშვიდობით, ძვირფასო! ლაურა მომიკითხე!

მეოთხე გამოსვლა

როტმისტრი, შემდეგ ლაურა

როტმისტრი. (აღებს ბიუროს და ანგარიშობს) ოცდათოთხმეტი... შვიდი... ორმოცდაშვიდი... ორმოცდათექვსმეტი...

ლაურა. (გვერდითა ოთახიდან). თუ შეიძლება.

როტმისტრი. ამ წუთში! სამოცდაექვსი, სამოცდათერთმეტი, ოთხმოცდაოთხი, ოთხმოცდაცხრა, ოთხმოცდათორმეტი, ასი... რა მოხდა?

ლაურა. ხელს ხომ არ გიშლი?

როტმისტრი. არა, არა... სამეურნეო ხარჯებისთვის ფული გინდა?

ლაურა. დიახ.

როტმისტრი. ანგარიში მოიტანე, გადავხედავ!

ლაურა. ანგარიში?

როტმისტრი. მაშ.

ლაურა. ეს როდიდან უნდა წარმოვადგინო ანგარიშები?

როტმისტრი. დღეიდან! ჩვენს საქმეებს ბზარი გაუჩნდა და უბედურების შემთხვევაში ანგარიშები უნდა გვქონდეს, თორემ განზრახ გაკოტრებაში დაგვდებენ ბრალს.

ლაურა. მე დამნაშავე არა ვარ, თუ ჩვენი საქმეები ცუდადაა...

როტმისტრი. ამას სწორედ ანგარიშები გვიჩვენებს,

ლაურა. თუკი მოიჯარე ფულს არ იხდის, ჩემი რა ბრალია.

როტმისტრი. მერედა ვინ შემომთავაზა მოიჯარე? შენ! რატომ შემომთავაზე ეს, უკაცრავად, ნუ ვიქნები და, არამზადა?

ლაურა. მერედა, რად დათანხმდი ასეთი არამზადის მიღებაზე?

როტმისტრი. იმიტომ, რომ სანამ თქვენსას არ გაიტანდით, არც ჭამა შემეძლო, არც ძილი და არც მოსვენებით მუშაობა. შენც იმ არამზადას უჭერდი მხარს, ვინაიდან შენს ძმას მისი მოშორება უნდოდა! სიდედრი იმიტომ უჭერდა მხარს, რომ მე არ მინდოდა, გუვერნანტი იმიტომ, რომ ის არამზადა პიეტისტია, ბებრუხანა მარგრეტი კი იმიტომ, რომ ბავშვობიდან იცნობდა ბებიამისს. აი, რატომ დავთანხმდი! ხოლო რომ არ დავთანხმებულიყავი, ახლა ან საგიჟეში ვიქნებოდი, ან საგვარეულო აკლდამაში!... აჰა, სამეურნეო და წვრილმანი ხარჯების ფული... ანგარიშს შემდეგ წარმომიდგენ!

ლაურა. (რევერანსით ეუბნება). დიდი მადლობა! სახლის ხარჯების გარდა სხვა ხარჯებს თუ ანგარიშობ?

როტმისტრი. ეგ შენი საქმე არაა!

ლაურა. რაღა თქმა უნდა, ისევე, როგორც ჩემი შვილის აღზრდა! მამაკაცებმა საღამოს სხდომაზე რაიმე გადაწყვეტილება მიიღეს?

როტმისტრი. მე გადაწყვეტილება ადრე მივიღე და მხოლოდ ჩვენს ერთადერთ საერთო მეგობარს გავაცანი! ბერტა ქალაქში წავა პანსიონში... ორ კვირაში!

ლაურა. ნება მომეცი გკითხო, ვისთან?

როტმისტრი. აუდიტორ სეფბერგთან.

ლაურა. ამ თავისუფალ მოაზროვნესთან!

როტმისტრი. კანონის მიხედვით ბავშვები მამის შეხედულებებისამებრ უნდა აღიზარდონ!

ლაურა. და არც კითხულობენ, რა აზრისაა დედა ამ საკითხზე?

როტმისტრი. არა. დედა ყიდის თავის ბუნებრივ უფლებას და უთმობს მამას, ვინაიდან მამა ზრუნავს მასზე და შვილებზე!

ლაურა. მაშ დედას არავითარი უფლება არა აქვს შვილებზე?

როტმისტრი. არავითარი. რაკი საქონელი გაყიდულია, მისი უკან დაბრუნება არ შეიძლება, არც ფულის დაკავება.

ლაურა. კი, მაგრამ დედ-მამას არ შეუძლია ერთად გადაწყვიტოს საკითხი...

როტმისტრი. აბა, რანაირად? მე მინდა შვილი ქალაქში ცხოვრობდეს, შენ გინდა, შინ დარჩეს. საშუალო არითმეტიკული იქნება სადგურში, ქალაქსა და მშობლიურ სახლს შორის, შუა გზაზე მისი მოთავსება. როგორც ხედავ, ამ კვანძის გახსნა შეუძლებელია.

ლაურა. მაშინ ამ კვანძის გაჭრა მოგვიწევს! რა უნდოდა აქ ნიოიდს?..

როტმისტრი. ეს სამსახურებრივი საიდუმლოებაა!

ლაურა. რომელიც მთელმა სამზარეულომ იცის.

როტმისტრი. მაშ, შენც უნდა იცოდე.

ლაურა. მეც ვიცი.

როტმისტრი. და განაჩენი უკვე გამოიტანე?

ლაურა. განაჩენი კანონში წერია.

ر ო ტ მ ი ს ტ რ ი. მერედა კანონში წერია, ვინაა ბავშვის მამა?

ლ ა ურ ა. არა, ჩვეულებისამებრ, ეს ისედაც იციან.

ر ო ტ მ ი ს ტ რ ი. ჭკვიანი ადამიანები ამტკიცებენ, რომ ამის გაგება შეუძლებელია.

ლ ა ურ ა. რასაკვირველია! ვერ გაიგებ, ვინაა ბავშვის მამა!

ر ო ტ მ ი ს ტ რ ი. ასე ამტკიცებენ!

ლ ა ურ ა. საკვირველია! მაშ, მამას რად აქვს ასეთი უფლებები შვილზე?

ر ო ტ მ ი ს ტ რ ი. მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როცა თვითონ ივალდებულებს თავს, ან თუ ეს ვალდებულებანი ეკისრება. ხოლო როცა ადამიანები ცოლ-ქმარნი არიან, აქ კაცის მამობაში თავისთავად ეჭვს ვერ შეიტან.

ლ ა ურ ა. თავისთავად ეჭვს ვერ შეიტან?

ر ო ტ მ ი ს ტ რ ი. ვიმედოვნებ.

ლ ა ურ ა. კი, მაგრამ თუ ცოლი ქმარს ღალატობდა?

ر ო ტ მ ი ს ტ რ ი. აქ წარმოჩინებულ შემთხვევას ეს ამბავი არ მიესადაგება! კიდევ გინდა რაიმე მკითხო?

ლ ა ურ ა. არა!

ر ო ტ მ ი ს ტ რ ი. მაშ, ჩემს ოთახში წავალ, შენ კი, თუ შეიძლება, ექიმის მოსვლა შემატყობინე.

(კეტავს ბიუროს და დგება).

ლ ა ურ ა. კარგი.

ر ო ტ მ ი ს ტ რ ი. (მარჯვნივ შპალერაკრულ კარებში შედის) მოსვლისთანავე შემატყობინე. არ მინდა იფიქროს, უზრდელიაო... გესმის!

(გადის).

ლ ა ურ ა. მესმის.

მეხუთე გამოსვლა

ლაურას ხელწერილები უჭირავს და ათვალიერებს.

ს ი დ ე დ რ ი. (მეორე ოთახიდან ისმის მისი ხმა). ლაურა!

ლ ა ურ ა. დიახ!..

ს ი დ ე დ რ ი. მზადაა ჩაი?

ლ ა ურ ა. (კარებში გასძახებს). ახლავე მოგართმევენ!

(მიდის გასასვლელი კარისკენ, რომელიც უკანა პლანზე ჩანს. ამ დროს ამ კარს დენშჩიკი აღებს).

დ ე ნ შ ჩ ი კ ი. (მოახსენებს). ექიმი ესტერმარკი.

ე ქ ი მ ი. ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ!

ლ ა ურ ა. (მისკენ მიდის და ხელს უწვდის). გთხოვთ, მობრძანდეთ, ბატონო ექიმო. სულით და გულით მიხარია... როტმისტრი გავიდა, მაგრამ ახლავე მოვა.

ე ქ ი მ ი. უკაცრავად, რომ ასე გვიან მოვედი, მაგრამ ავადმყოფებთან ვიყავი.

ლ ა ურ ა. რას ბრძანებთ... დაბრძანდით!

ე ქ ი მ ი. გმადლობთ!

ლ ა ურ ა. დიახ, ამჟამად ჩვენთან ბევრი ავადმყოფია, მაგრამ, ვიმედოვნებ, საქმეს თავს გაართმევთ, ჩვენთვის კი, სოფელში მიგდებული ხალხისთვის, ისე დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმს, რომელიც გულთან მიიტანს ავადმყოფთა გასაჭირს... მე იმდენი კარგი რამ მსმენია თქვენს შესახებ, ვფიქრობ, ჩვენ შორის ძალიან კარგი ურთიერთობა დამყარდება...

ე ქ ი მ ი. თქვენ ფრიად და ფრიად თავაზიანი ბრძანდებით, მაგრამ ჩემის მხრივ თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე თავს დავიიმედებ, რომ „სამსახურებრივი მოვალეობის“ გამო ხშირად არ მომიწევს აქ სტუმრობა. თქვენი ოჯახი ხომ საერთოდ ჯანმრთელია და...

ლ ა ურ ა. დიახ, მადლობა ღმერთს, მწვავე დაავადებანი ჩვენს ოჯახში არ ყოფილა, მაგრამ საქმე რიგზე ვერა გვაქვს.

ე ქ ი მ ი. რას ამბობთ?

ლ ა ურ ა. სამწუხაროდ, ყველაფერი ისე არაა, როგორც გვინდოდა ყოფილიყო.

ე ქ ი მ ი. თქვენ მე მაშინებთ!

ლ ა ურ ა. ყოველ ოჯახში იქმნება ხოლმე ვითარება, რასაც ყველას ვუმალავთ ღირსებისა და პატიოსნების შელახვის შიშით...

ე ქ ი მ ი. ექიმის გარდა...

ლ ა ურ ა. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, როგორადაც არ უნდა მიმძიმდეს ამის თქმა, პირველსავე წუთს გაგანდოთ სრული სიმართლე.

ე ქ ი მ ი. იქნებ, ეს საუბარი მანამდე გადასდოთ, ვიდრე ბატონ როტმისტრს გავიცნობდე.

ლ ა ურ ა. არამც და არამც! მის ნახვამდე უნდა მომისმინოთ.

ე ქ ი მ ი. მაშასადამე, საქმე სწორედ მას ეხება, არა?

ლ ა ურ ა. დიახ, სწორედ ჩემს უბედურ და ძვირფას ქმარს!

ე ქ ი მ ი. თქვენ მე მაშინებთ, მაგრამ მერწმუნეთ, გულწრფელად თანაგიგრძნობთ.

ლ ა ურ ა. (ცხვირსახოცს იღებს). ჩემი ქმარი სულით ავადმყოფია. ახლა უკვე ყველაფერი იცით. შემდეგში თვითონ ნახავთ.

ე ქ ი მ ი. რას ბრძანებთ! მე ერთობ აღფრთოვანებული ვკითხულობდი ბატონი როტმისტრის ჩინებულ შრომებს მინერალოგიის საკითხებზე და ყოველთვის მაოცებდა მისი გონების სიცხადე და ძალმოსილება.

ლ ა ურ ა. მართლა? ო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩვენ, მისი ახლობლები, ვცდებოდეთ.

ე ქ ი მ ი. შესაძლოა, როტმისტრის სულიერი წონასწორობა სხვა მხრივაა დარღვეული. დაწვრილებით მიამბეთ ყოველივე.

ლ ა ურ ა. სწორედ ამისი გვეშინია. იცით, ხანდახან უაღრესად უცნაური იდეები ებადება, რომლებიც მას, როგორც მეცნიერს, შეიძლება ჰქონდეს, ოღონდაც, ისინი მთელი ოჯახის მდგომარეობაზე არ უნდა ახდენდნენ ზეგავლენას. მაგალითად, აჩემებული აქვს ათასგვარი რამერუშის ყიდვა.

ე ქ ი მ ი. საგულისხმო ამბავია! მაინც რას ყიდულობს?

ლ ა ურ ა. ქვეყნის წიგნებს, რომელთაც არ კითხულობს.

ე ქ ი მ ი. მეცნიერი რომ წიგნებს ყიდულობს, აქ საშიში მაინც და მაინც არაფერია.

ლ ა ურ ა. არ გჯერათ ჩემი ნათქვამი?

ე ქ ი მ ი. პირიქით, არ მეეჭვება, რომ თავად გჯერათ იმისა, რასაც ამბობთ.

ლ ა უ რ ა. კი, მაგრამ შეიძლება ადამიანმა მიკროსკოპში დაინახოს, რა ხდება სხვა პლანეტაზე?

ე ქ ი მ ი. მერედა ამბობს, ვხედავო?

ლ ა უ რ ა. დიახ, ამბობს.

ე ქ ი მ ი. მიკროსკოპშიო!

ლ ა უ რ ა. სწორედ მიკროსკოპში!

ე ქ ი მ ი. თუ ასეა, ამას მნიშვნელობა აქვს!

ლ ა უ რ ა. თუ ასეა! თქვენ სრულიად არ მენდობით, მე კი აქ ვზივარ და ოჯახის საიდუმლოებებს გიზიარებთ...

ე ქ ი მ ი. უკაცრავად... ფრიად და ფრიად გენდობით, მაგრამ ვიდრე საკითხს განვსჯიდე, როგორც ექიმმა, ყველაფერი უნდა გამოვიკვლიო და ყველაფერში დავრწმუნდე. ბატონი როტმისტრი ჭირვეულობს ხოლმე?... მერყევი ნებისყოფის კაცია?

ლ ა უ რ ა. ჭირვეულობსო? ოცი წელია ცოლ-ქმარი ვართ, და არ ყოფილა რაიმე გადაწყვეტილება, რომ არ გადაეთქვას.

ე ქ ი მ ი. ჯიუტია?

ლ ა უ რ ა. ყოველთვის თავისას იყენებს, მაგრამ როგორც კი მიზანს მიაღწევს, ყოველივეზე ხელს იღებს და გადასაწყვეტად მე გადმომილოცავს ხოლმე.

ე ქ ი მ ი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია და ზუსტი დაკვირვება სჭირდება. ნებისყოფა, ქალბატონო, სულის ხერხემალია. როცა ის ზიანდება, სული იღუპება.

ლ ა უ რ ა. მხოლოდ მაღალმა ღმერთმა იცის, ამ ტანჯვა-წამებით აღსავსე წლების განმავლობაში როგორ ვცდილობდი მისი სურვილები მომეთოკა. ნეტავ იცოდეთ, როგორ ვცხოვრობდი მის გვერდით.

ე ქ ი მ ი. თქვენი უბედურება ერთობ მაღელვებს, და აღგითქვამთ, ყველაფერი ვიღონო, რაც კი შესაძლებელია. მთელი სულითა და გულით მებრალებით და გთხოვო, ჩემი იმედი იქონიოთ. მაგრამ ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ მოვისმინე, მხოლოდ ერთ რამესა გთხოვთ: ეცადეთ, ავადმყოფს ისეთი აზრები არ აღუძრათ, რომელნიც მასზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენენ, თორემ ეს აზრები, ავადმყოფობისა ადვილად შეიძლება მონომანიად ანუ აკვიატებულ იდეებად იქცნენ. გესმით?

ლ ა უ რ ა. მაშასადამე, ვეცადო ეჭვი არ აღვუძრა?

ე ქ ი მ ი. უსათუოდ! ავადმყოფს შეიძლება ნებისმიერი აზრი მოახვიოთ თავს, სწორედ იმიტომ, რომ იგი მეტისმეტად ადვილად აღიქვამს ყველაფერს.

ლ ა უ რ ა. აჰა!.. მესმის... დიახ!..

(შიგნით რეკავენ).

უკაცრავად, დედა მეძახის ერთი წამით!... აჰ, ადოლფიც მოვიდა!

მეექვსე გამოსვლა

ე ქ ი მ ი დ ა რ ო ტ მ ი ს ტ რ ი

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (შპალერაკრული კარიდან). აჰ, უკვე აქა ხართ, ექიმო! სულით და გულით მოგესალმებით!

ე ქ ი მ ი. ჩემთვის უაღრესად სასიამოვნოა სახელგანთქმული მეცნიერის გაცნობა, ბატონო როტმისტრო!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რას ბრძანებთ... სამსახური საშუალებას არ მაძლევს მეცნიერებას მთელი არსებით ჩავუჯდე... თუმცა ვიმედოვნებ, რომ ერთი ალმოჩენის გზაზე ვდგავარ.

ე ქ ი მ ი. ოჰო!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. იცით, მეტეორიტების სპექტრალური ანალიზი გავაკეთე და ნახშირში — ორგანული სიცოცხლის კვალი ვიპოვე. თქვენ რას იტყვით?

ე ქ ი მ ი. მერედა, ეს მიკროსკოპში შეამჩნიეთ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დასწყევლოს ეშმაკმა — სპექტროსკოპში!

ე ქ ი მ ი. სპექტროსკოპში... უკაცრავად! მაშასადამე, შეიძლება მალე გვიამბოთ, რა ხდება იუპიტერზე!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რა ხდება კი არა, რა ხდებოდა! ოღონდაც, ჩემმა პარიზელმა მომწოდებელმა წიგნები გამომიგზავნოს! მაგრამ ეტყობა, მთელი მსოფლიოს წიგნის გამყიდველები ჩემ წინააღმდეგ შეეთქვნენ. არ დამიჯერებთ და უკვე ორი თვეა შეკვეთებზე, წერილებსა და მკვახე დეპეშებზეც კი პასუხი არ მიმიღია. პირდაპირ ჭკუაზე ვიშლები! ვერ გამიგია, რას მოასწავებს ეს ყველაფერი.

ე ქ ი მ ი. ჩვეულებრივი დაუდევრობაა! მაგრამ ასე რატომ განიცდით?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ჰო, მაგრამ, დასწყევლოს ეშმაკმა, სამუშაოს ხომ დროულად ვერ ვამთავრებ, მე კი ვიცი, ამ საკითხზე ბერლინშიც მუშაობენ. თუმცა, ამაზე საუბარი რა საჭიროა. მოდით, თქვენზე ვილაპარაკოთ! თუ აქ ცხოვრება გინდათ, ფლიგელში პატარა ოთახია. ან, იქნებ, ძველი სახელმწიფო ბინა უფრო გეჭაშნიკებათ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არა, თქვენ როგორც გნებავთ! აირჩიეთ!

ე ქ ი მ ი. თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, ბატონო როტმისტრო!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არა, მე არ გადაწყვიტე. თქვენ უნდა თქვათ, რომელი უფრო გაძლევთ ხელს! მე არავითარი სურვილი არა მაქვს ამ საკითხის გარკვევისა!... არავითარი!..

ე ქ ი მ ი. არც მე შემიძლია გადავწყვიტო!..

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ბოლოს და ბოლოს, ბრძანეთ, რომელი უფრო ხელსაყრელია თქვენთვის. ამ შემთხვევაში თვით მე არავითარი სურვილი ან მოსაზრება არ გამაჩნია! ნუთუ, ისეთი ღვთის გლახა ხართ, არ იცით, რა გინდათ? მიპასუხეთ, ბოლოს და ბოლოს, თორემ გავბრაზდები!

ე ქ ი მ ი. თუ მე უნდა ავირჩიო, აქ ცხოვრებას ვარჩევდი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ჰოდა, ჩინებულია! გმადლობთ... ო!... უკაცრავად, ექიმო, მაგრამ ჩემზე ისე საშინლად არაფერი მოქმედებს, როგორც პასუხი: „ჩემთვის სულ ერთია!“

(რეკავს. შემოდის ძიძა).

შენა ხარ, მარგარეტ?... ბატონ ექიმს ფლიგელი მოუმზადეს თუ არა?

ძ ი ძ ა. ნოუმზადეს.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. კარგი.. მაშ აღარ დაგაყოვნებთ.

ექიმო... ალბათ დაიღალეთ... ნახვამდის... და ვიმედოვნებ, ხვალ შევხვდებით.

ექიმი. ღამე ნებისა, ბატონო როტმისტრო.

როტმისტრი. ჩემმა მეუღლემ ალბათ ერთგვარად გაგაცნოთ ვითარება, ასე რომ, ორიენტირება შეგეძლებათ.

ექიმი. თქვენმა მეუღლემ თავაზიანად მომცა რამდენიმე მითითება, რომელნიც ახალმოსულისთვის აუცილებელია. ღამე ნებისა, ბატონო როტმისტრო.

(მიდის).

მეშვიდე გამოსვლა

როტმისტრი და ძიძა

როტმისტრი. რა გინდა? მოხდა რამე?

ძიძა. ყური მიგდე... ადოლფ...

როტმისტრი. აბა, ილაპარაკე, ილაპარაკე, ბებრუხანა მარგრეტ! ჯერჯერობით მხოლოდ შენთან შემიძლია გაუღიზიანებლად ლაპარაკი.

ძიძა. ყური მიგდე, ადოლფ, არ შეიძლება შენ და ქალბატონი როგორმე შეთანხმდეთ ამ ამბის თაობაზე... ბავშვის თაობაზე? აბა, დაფიქრდი, ის ხომ დედაა...

როტმისტრი. შენც დაფიქრდი, მარგრეტ, მე ხომ მამა ვარ!

ძიძა. მამას ბავშვის გარდა სხვა საზრუნავი და საქმეები აქვს, დედას კი ბავშვის მეტი არაფერი მოეძევება.

როტმისტრი. სწორი ხარ, ძიძა. მას მხოლოდ ერთი ტვირთი აწევს, მე კი სამი... თანაც მის ტვირთსაც მე ვზიდავ, აბა, თუ გიფიქრია, ცოლი და ქალიშვილი რომ არ მყოლოდა, ხომ შეიძლებოდა ახლანდელზე უკეთესი მდგომარეობა მქონოდა... ძველი ჯარისკაცის მდგომარეობაზე უკეთესი?..

ძიძა. არა, ამაზე კი არ გეუბნები.

როტმისტრი. ვიცი, ვიცი... აქ იმისთვის მოსულიდი, დამარწმუნო, მართალი არა ხარო.

ძიძა. ადოლფ, ნუთუ ეჭვი გეპარება, რომ შენთვის სიკეთე მინდა?

როტმისტრი. არა, არა, სრულებით არ მეპარება, ოღონდ შენ თვითონ არ იცი, რა არის ჩემთვის სიკეთე!... იცი, რა გითხრა, მე თუ მკითხავ, ბავშვს რომ სიცოცხლე მისცე, ეს ცოტას ნიშნავს... მე მინდა მას ჩემი სულიც მივცე.

ძიძა. აბა, ეგეთები არ გამეგება. და მაინც ვფიქრობ, შეიძლებოდა შეთანხმებულიყავით!

როტმისტრი. მარგრეტ, შენ ჩემი მეგობარი არა ხარ!

ძიძა. შენი მეგობარი არა ვარ? ამას რას ამბობ, ადოლფ! აბა, რა დამავიწყებს, რომ პატარა ბიჭი თითქმის ჩემს შვილად მიმაჩნდი?

როტმისტრი. მე კი, გგონია დამავიწყდა, ძვირფასო? დედის მაგივრობას მიწევდი. აქამდე ყოველთვის მემხრობოდი, როცა სხვები მეწინააღმდეგებოდნენ! სამაგიეროდ ახლა, როცა მართლა მჭირდები, მარტო მტოვებ და მტრების მხარეს იჭერ.

ძიძა. როგორ თუ მტრებისა?

როტმისტრი. დიახ, მტრებისა. ხომ იცი, რა ამბები ტრიალებს ჩვენსას. თავიდან ბოლომდე ყველაფერი შენს თვალწინ ხდება!

ძიძა. რა თქმა უნდა, ჩემს თვალწინ, მაგრამ ნუთუ ორმა ადამიანმა, ორივე კეთილმა და სხვათა კეთილის მოსურნემ, ასე უნდა ტანჯოს ერთმანეთი. მერედა, ქალბატონი ხომ მე და, საერთოდ, ყველას...

როტმისტრი. ვიცი, ვიცი. მარტო მე მეპყრობა ცუდად... მაგრამ ყური მიგდე, მარგრეტ, თუ შენ ახლა მიმატოვებ, დიდი ცოდვა დატრიალდება, ვინაიდან იმათ სურთ საბოლოოდ გამაბან მახეში. ეს ექიმიც ჩემი მტერია!

ძიძა. აბ, ადოლფ, შენ ყველაზე ცუდს ფიქრობ, მერედა იცი, რატომ? იმიტომ, რომ ჭეშმარიტი რწმენა არა გაქვს! დიახ, დიახ...

როტმისტრი. შენ კი ბაპტისტებთან ჰპოვე ერთადერთი ჭეშმარიტი რწმენა! და რა თქმა უნდა, ბედნიერი ხარ!

ძიძა. რასაკვირველია, შენსავით უბედური როდი ვარ, ადოლფ. გულს სძლიე და ნახავ, რომ მაღალი ღმერთი მოყვასის სიყვარულით გაგაბედნიერებს.

როტმისტრი. უცნაურია... როცა ღმერთსა და სიყვარულზე ლაპარაკობ, ხმა გამყინავი გიხდება, თვალებიც სიძულვილით გევსება. არა, მარგრეტ, შენი რწმენა ჭეშმარიტი არაა!

ძიძა. ჰო, რა თქმა უნდა, შენ შენი განასწავლულობა გეამაყება, მაგრამ განასწავლულობა ნაკლებ შველის ადამიანს, როცა საქმე საქმეზე მიდგება!

როტმისტრი. რაოდენ ქედმაღალი ყოფილა ეს თვინიერი ადამიანი? ისე თქვენისთანა ნადირებს რომ ვერავითარი განსწავლულობა უშველის, ეს ჩინებულად ვიცი!

ძიძა. გრცხვენოდეს! თუმცა, ყოველივეს მიუტევდავად, მოხუც მარგრეტს მაინც უყვარს თავისი დიდი, დიდი ბავშვი... შენც ისევ მოხვალ ჩემთან დამჯერე ბიჭივით, თუ ჭექა-ქუხილი ატყდა.

როტმისტრი. მომიტევე, მარგრიტ, მაგრამ მერწმუნე, შენს გარდა ჩემთვის სიკეთე არავის უნდა. დამეხმარე... გული რაღაცას მიგრძნობს... არ ვიცი, რა ხდება აქ, მაგრამ რაც ხდება, კარგად არ დამთავრდება (საცხოვრებელი ოთახებიდან ყვირილი ისმის). რა ხდება? ვინ ყვირის?

მერვე გამოსვლა

იგივენი და ბერტა

ბერტა. (შემორბის გვერდითა ოთახიდან). მამა... მამა... მიშველე... დამიხსენი!

როტმისტრი. რა დაგემართა, გოგონი? რა მოხდა?

ბერტა. მიშველე! იმას უნდა რაღაც მიქნას!

როტმისტრი. ვის უნდა, რა უნდა გიქნას? ჰა, თქვი!

ბერტა. ბებიას! თვითონ ვარ დამნაშავე... მე იგი მოვატყუე!

როტმისტრი. თუ ყველი, მოყევი ბოლოს და ბოლოს!

ბერტა. ოღონდ არავის უთხრა, გესმის? გთხოვ...

როტმისტრი. კარგი, თქვი, რა მოხდა?

(ძიძა გადის).

ბერტა. იცი, საღამოობით ბებია ლამპას უწევს და მაგიდასთან მსვამს... ფანქარს მაჭერინებს... მაგი-

დაზე ქალალდს მიდებს... ჰოდა, მეუბნება, სულები წერას იწყებენო...

როტმისტრი. რაო? აქამდე რატომ არაფერს მეუბნებოდი?

ბერტა. მაპატიე, მაგრამ ვერ ვბედავდი. ბებია ამბობს, სულები შურს იძიებენ, როცა მათ შესახებ რამეს ჰყვებიანო. და აი, კალამი წერს... მე კი არ ვიცი, მე ვწერ თუ არა. ზოგჯერ კარგად ვწერ, ზოგჯერ სულაც ვერ ვწერ. როცა ვიღლები, არაფერი გამომდის, მე კი მინდა გამომდიოდეს. აი, ამ საღამოს ვფიქრობდი, კარგად ვწერ-მეთქი, ბებიამ კი მითხრა, მასულელებო, ჰოდა, ისე გაბრაზდა, ისე გაბრაზდა...

როტმისტრი. მერედა, შენ გჯერა სულებისა?

ბერტა. თვითონაც არ ვიცი.

როტმისტრი. მე კი ვიცი, რომ არავითარი სულები არ არსებობენ.

ბერტა. ბებია კი მეუბნება, მამაშენს ეს არ ესმის, თვითონ სულებზე უფრო ცუდ საქმეებს სჩადის, ხედავს, რა ხდება სხვა პლანეტებზეო.

როტმისტრი. ამას გეუბნება? ამას? კიდევ რა გითხრა?

ბერტა. რომ შენ ჯადოქრობა არ შეგიძლია.

როტმისტრი. ამას არც ვამტკიცებ. იცი, რა არის მეტეორიტები? ქვები, რომლებიც ჩვენთან სხვა პლანეტებიდან ცვივიან. მე შემიძლია შევისწავლო და ვთქვა, რომ მეტეორიტები ისეთივე ნივთიერებისაგან შესდგება, როგორითაც დედამიწა, აი, რას ვხედავ მე.

ბერტა. ბებია კი ამბობს, მამაშენს ზოგი რამის დანახვა არ შეუძლია, მე კი შემიძლიაო.

როტმისტრი. ო, ეს სიცრუეა!

ბერტა. ბებია არ ცრუობს!

როტმისტრი. მაინც რატომ?

ბერტა. მაშინ დედაც ცრუობს!

როტმისტრი. ჰმ...

ბერტა. თუ შენ გგონია, რომ დედა ცრუობს, აღარაფერს დაგიჯერებ.

როტმისტრი. მე ეს არ მითქვამს და ამიტომ შეიძლება დამიჯერო, რასაც გეტყვი: შენივე ბედნიერებისთვის, შენი მომავლისთვის აქედან უნდა წახვიდე. კარგი? გინდა ქალაქში გადახვიდე და სასარგებლო რამ ისწავლო?

ბერტა. აჰ, როგორ მინდა აქედან წავიდე. გინდ ქალაქში და გინდ სხვა ადგილას! ოღონდაც შენ უფრო ხშირად გხედავდე! თორემ იქ ყოველთვის ისე მიმძიმდება გული, ისეთი ნაღველი მეუფლება, როგორც ზამთრის ღამეს. შენ რომ მოდიხარ, მხოლოდ მაშინ ნათდება ყველაფერი, თითქოს გაზაფხულზე ფანჯრებს ყურთამდე აღებდნენ!

როტმისტრი. ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო გოგონი!

ბერტა. ოღონდ უფრო კეთილად მოექეცი დედას!... თორემ ის ძალიან ხშირად ტირის!

როტმისტრი. ჰმ... მაშ, წახვალ ქალაქში?

ბერტა. დიახ, დიახ!

როტმისტრი. თუ დედამ არ ისურვა?

ბერტა. უნდა ისურვოს!

როტმისტრი. მაინც რომ არ ისურვოს!

ბერტა. მაშინ არ ვიცი, რა ვქნა. ო, არა! უნდა ისურვოს, უნდა ისურვოს!

როტმისტრი. შენ თხოვ?

ბერტა. შენ თვითონ თხოვე დაბეჯითებით! ჩემს თხოვნას აინუნშიც არ აგდებს.

როტმისტრი. ჰმ... შენ თუ წასვლა გინდა, წადი, მე თანახმა ვარ, მაგრამ დედა არ გაგიშვებს... მაშინ როგორღა მოიქცეთ?

ბერტა. მაშინ ისევ დაიწყება ჩხუბი და დავიდარაბა! რატომ არ შეგიძლიათ ორივეს...

მეცხრე გამოსვლა

იგივენი და ლაურა

ლაურა. აჰ, ბერტა აქაა! ვინაიდან ბეოტას ბედზეა ლაპარაკი, სჯობს მისი აზრიც მოვისმინოთ!

როტმისტრი. საეჭვოა ბერტას საკუთარი აზრი ჰქონდეს იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ყმაწვილი ქალის ცხოვრება. ჩვენთვის კი უფრო ადვილია თუნდაც მიახლოებით გავარკვიოთ საკითხი. ჩვენს თვალწინ ხომ უამრავი ქალიშვილის ცხოვრებას ჩაუვლია.

ლაურა. რაკი სხვადასხვა აზრისა ვართ, დაე, ბერტამ თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

როტმისტრი. არა. ნებას არავის მივცემ უფლებები წამართვას — არც ცოლს, არც შვილს. ბერტა წადი!

(ბერტა მიდის).

ლაურა. ბერტა, მოიცადე...

(ბერტა ყოყმანებს).

როტმისტრი. წადი, ჩემო გოგონი.

ლაურა. (თვალჩაცეებით მისჩერებია ბერტას. ბერტა უძრავად დგას).

აქედან წასვლა გინდა, თუ შინ ყოფნა უფრო გსიამოვნებს?

ბერტა. არ ვიცი.

ლაურა. გასაგებია, ბერტა, შენს სურვილს ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს... უბრალოდ, გვინდოდა გვცოდნოდა, რა გედო გულში.

ბერტა. მართალი რომ ვთქვა!..

(როტმისტრი ბერტას ხელზე ხელს ჰკიდებს და ნაზად მიჰყავს მარცხენა კარამდე).

ლაურა. შეგეშინდა ხომ მისი გადაწყვეტილების მოსმენა, გეგონა, შენს სასარგებლოს არაფერს იტყოდა.

როტმისტრი. ვიცი, ბერტას თვითონ უნდა სახლიდან წასვლა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ როგორც აიხირებ, ისე გადაათქმევინებ სურვილს.

ლაურა. ნუთუ ასეთი ძალა მაქვს?

როტმისტრი. დიახ, სატანური ძალა გაქვს, ისევე როგორც ყველას, ვინც მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობს. მაგალითად, რანაირად მოახერხე, რომ ექიმი ნორმინდი წასულიყო და მის მაგივრად ახალი დაენიშნათ?

ლაურა. რანაირად?

როტმისტრი. თავის მოსაჯაყ ჭორებს უვრცელებდი, ვიდრე არ წავიდა, შემდეგ ძმა აიძულე ახალი ექიმის სასარგებლოდ ხმები მოეგროვებინა.

ლ ა უ რ ა. რაც ბუნებრივი და სავსებით კანონიერი იყო... ამრიგად, ბერტა მაინც წავა!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დიახ, ორ კვირაში წავა!

ლ ა უ რ ა. ეს შენი საბოლოო გადაწყვეტილებაა?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დიახ.

ლ ა უ რ ა. ამის შესახებ უკვე ელაპარაკე ბერტას?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დიახ.

ლ ა უ რ ა. მაშინ ვეცდები, ეს საქმე ჩავშალო!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ეს შენ არ შეგიძლია!

ლ ა უ რ ა. არა? რა გგონია, დედა შვილს ცუდ ადამიანებს ჩაუგდებს ხელში, ადამიანებს, რომლებიც იმას ასწავლიან, სისულელეა, რასაც დედა ჩაგაგონებდაო?... რომ შემდეგ მთელი სიცოცხლე დედა ეზიზღებოდეს?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მამა კი შენი აზრით ვალდებულია, უმეცარ და გაუნათლებელ ქალებს ნება დართოს, ქალიშვილს ასწავლონ, მამა თაღლითი გყავსო?

ლ ა უ რ ა. მამისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ვითომ, რატომ?

ლ ა უ რ ა. იმიტომ, რომ დედა უფრო ახლოსაა შვილთან... განსაკუთრებით რაკი დადგენილია, რომ არსებითად ვერასდროს იტყვის კაცი, ვინაა ბავშვის მამა.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რა დამოკიდებულება აქვს ამას ჩვენს მაგალითთან?

ლ ა უ რ ა. ის, რომ არ იცი, ბერტას მამა ხარ თუ არა.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არ ვიცი!..

ლ ა უ რ ა. არ იცი... რაკი არავის შეუძლია იცოდეს, არც შენ შეგიძლია!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ხუმრობ?

ლ ა უ რ ა. არა, მე უბრალოდ შენსავე მოძღვრებას ვეყრდნობი! განა შეგიძლია იცოდე, გღალატობდი თუ არა.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ვიცი, რომ ბევრ რამეს იკადრებ, მაგრამ ამას არა! არც იმას იკადრებ, თქვა გღალატობდიო, თუნდაც ეს სიმართლეს შეეფერებოდეს.

ლ ა უ რ ა. ვთქვათ და ყველაფერზე ავიღე ხელი, შევურიგდი დევნას, სირცხვილს, ყველაფერი ვიკისრე, ოღონდაც ბავშვი შევინარჩუნო, ოღონდაც ბავშვზე უფლება მქონდეს. ვთქვათ, მართალი ვთქვი, ვთქვათ, ბერტა ჩემი შვილია, შენი კი არა!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. გაჩუმდი!

ლ ა უ რ ა. მაშინ ბავშვზე უფლებებს დაკარგავ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამტკიცებ, რომ მისი მამა არა ვარ!

ლ ა უ რ ა. ამის დამტკიცებას რა უნდა? გინდა დაგიმტკიცო?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. გაჩუმდი!

ლ ა უ რ ა. საკმარისია დავასახელო ნამდვილი მამა, დავადგინო დრო და ადგილი... სიტყვამ მოიტანა და როდის დაიბადა ბერტა? ჩვენი შეუღლების მესამე წელს, ხომ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. გაჩუმდი, ან...

ლ ა უ რ ა. ან რა? კეთილი, გავჩუმდეთ. მაგრამ კარგად დაფიქრდი, რას აკეთებ და რა უფლებით წუვეტ ქალიშვილის ბედს! უპირველეს ყოვლისა, თავს სასაცილო მდგომარეობაში ნუ იგდებ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მე მგონია, ეს სასაცილო კი არა, უაღრესად სამწუხარო მდგომარეობაა!

ლ ა უ რ ა. ამის გამო მართლაც უფრო სასაცილო ხარ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. შენ, რა თქმა უნდა, არა!

ლ ა უ რ ა. არა, ჩვენ ხომ გონიერი არსებანი ვართ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ამიტომაც თქვენთან ბრძოლაც არ შეიძლება.

ლ ა უ რ ა. მაშ, რატომღა იბრძვი, როცა ხედავ, რომ შენს მტერს უპირატესობა აქვს?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. უპირატესობა?

ლ ა უ რ ა. დიახ. ეს უცნაურია. მაგრამ როცა კაცს ვხედავ, ყოველთვის ვგრძნობ, რომ მასზე მეტი უპირატესობა მაქვს.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მაშ, ამჯერად იძულებული გახდები, კაცის უპირატესობა იგრძნო, თანაც, ისე, რომ არასდროს დაივიწყო.

ლ ა უ რ ა. საინტერესო იქნება!

ძ ი ძ ა. (შემოდის) სუფრა გაშლილია! მობრძანდით სავახშმოდ!

ლ ა უ რ ა. სიამოვნებით.

(ყოყმანით ჯდება დივანის მახლობლად მაგიდასთან მიდგმულ სავარძელში).

შენ არ წამოხვალ სავახშმოდ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არა, გმადლობთ... არ მინდა!

ლ ა უ რ ა. გუნება ხომ არ წაგიხდა?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არა... არ მშია!

ლ ა უ რ ა. წავიდეთ... თორემ ისევ დაიწყება გამოკითხვა... საჭირო არაა ეს! გონს მოდი. ჰო, რაკი არ გინდა, იჯექი აქ!

(გადის).

ძ ი ძ ა. ეს რა ხდება, ადოლფ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. თვითონაც არ ვიცი. ერთი ამიხსენი, როგორ შეგიძლიათ ქალებს, პატარა ბავშვივით აბურთაოთ ხანდაზმული კაცი?

ძ ი ძ ა. ამის გაგების თავი არა მაქვს, მაგრამ ალბათ იმიტომ შეგვიძლია, რომ ყველა კაცი — დიდიცა და პატარაც — ქალის საშოდანაა გამოსული...

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ხოლო არც ერთი ქალი მამაკაცს არ უშვია! და მაინც მე ბერტას მამა ვარ! მითხარი, მარგრეტ, არ გჯერა ეს?... არ გჯერა?...

ძ ი ძ ა. რა პატარა ბავშვივით იქცევი! რაღა თქმა უნდა, შენ შენი შვილის მამა ხარ! აბა, წადი, ივახშმე! რა გინდა, აქ ხომ ზიხარ და დარდით გულს იგლეჯ! წადი, წადი!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (დგება). დედაკაცო, გაეთრიე აქედან! ჯოჯოხეთშია თქვენი ადგილი, კუდიანებო!

(გასასვლელ კარში).

სვერდ! სვერდ!

დ ე ნ შ ჩ ი კ ი. (შემოდის). რას მიბრძანებთ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მარხილი გაამზადე! ამ წუთში!

ძ ი ძ ა. ყური მიგდე, ადოლფ!..

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. გაეთრიე აქედან! გაეთრიე! ახლავე!

ძ ი ძ ა. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ეს რა მოგველის?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (ქუდს იხურავს და წასვლას აპირებს).

დაღამებამდე არ მელოდოთ!

(გადის).

ძ ი ძ ა. იესო ქრისტეს, შენი კალთა გადმოგვაფარე!.. ნეტა რა მოგველის?

მეორე მოქმედება

იგივე გარემო, რაც პირველ მოქმედებაში იყო. მაგიდაზე ლამპა ანთია. ღამეა.

პირველი გამოსვლა

ე ქ ი მ ი და ლ ა უ რ ა

ე ქ ი მ ი. როტმისტრთან საუბრის შემდეგ ეს საკითხი დამტკიცებულად არამც და არამც არ მიმაჩნია. ჯერ ერთი, თქვენ შეცდით, როცა მითხარით, მიკროსკოპის მეშვეობით გამოიტანა გასაოცარი დასკვნები სხვა ციურ სხეულთა შესახებო. მას შემდეგ, რაც შევიტყვე, რომ სპექტროსკოპით სარგებლობდა, არათუ გამიქარწყლდა ყოველგვარი ეჭვი მისი გონებრივი მოშლილობისა, არამედ აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ფრიად და ფრიად განსწავლული პიროვნებაა.

ლ ა უ რ ა. ეს მე არც არასოდეს არ მითქვამს.

ე ქ ი მ ი. მომიტევეთ, მაგრამ თქვენთან საუბარი ჩავიწერე, გარდა ამისა, ნათლად მახსოვს, რომ მთავარ პუნქტთან დაკავშირებით კითხვა გაგიმეორეთ კიდეც, ვინაიდან მეშინოდა, ხომ არ მომეყურა-მეთქი. ამდაგვარ ბრალდებებს უთუოდ ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რაკი საქმე ადამიანის უფლება-უუნარობას ეხება.

ლ ა უ რ ა. უფლება-უუნარობას.

ე ქ ი მ ი. თქვენ ხომ იცით, რომ სულით ავადმყოფნი სამოქალაქო და საოჯახო უფლებებს კარგავენ.

ლ ა უ რ ა. არა, არ ვიცი.

ე ქ ი მ ი. მეორეც, ერთი პუნქტი ძალიან მაეჭვებს. სხვათა შორის, როტმისტრი ამბობდა, წიგნის გამყიდველებთან გაგზავნილ ჩემს წერილებსა და მიმართვებზე არავინ მპასუხობსო. ნება მომეცით, გკითხოთ — თქვენ ხომ არ შეუშალეთ ამაში ხელი იმიტომ, რომ არასწორად გესმით მზრუნველობის არსი?

ლ ა უ რ ა. დიახ, მე შევუშალე. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ოჯახის ინტერესებზე ვიზრუნო და ხელი შევუშალო როტმისტრს მთლად არ გაგვაკოტროს.

ე ქ ი მ ი. უკაცრავად, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ გაითვალისწინეთ, რა შედეგები მოჰყვებოდა თქვენს საქციელს. როტმისტრმა რომ გაიგოს, საიდუმლოდ ერეოდით მის პირად საქმეებში, დაეჭვდება და ეს ეჭვი შეიძლება ზვავად იქცეს. ამას გარდა, თქვენი საქციელით როტმისტრის ნება-სურვილს ფრთები შეაკვეცეთ და აღავსეთ მისი მოთმინების ფიალა. ალბათ თვითონაც იცით, რაოდენ საშინელ სულიერ წამებას განიცდის ადამიანი. როცა მის ყველაზე სანუკვარ სურვილებს ეწინააღმდეგებიან, როცა მის ნებას ზღუდავენ.

ლ ა უ რ ა. ვიცი.

ე ქ ი მ ი. ამ შემთხვევაში გესმით, რას უნდა განიცდიდეს იგი.

ლ ა უ რ ა. (დგება). უკვე შუაღამეა. როტმისტრი კი არა და არ ჩანს... უსაშინელესი რამეა მოსალოდნელი.

ე ქ ი მ ი. მომიტევეთ, მაგრამ იქნებ მიამბოთ, მაინც რა მოხდა დღეს ჩემი წასვლის შემდეგ. უსათუოდ ყველაფერი უნდა ვიცოდე.

ლ ა უ რ ა. რაღაც უცნაური აზრები!... უცნაური იდეები აწუხებს!... მაგალითად, ფიქრობს, ჩემი შვილის მამა არა ვარო.

ე ქ ი მ ი. უცნაურია. რანაირად უნდა გასჩენოდა ეს აზრი?

ლ ა უ რ ა. არ ვიცი... ჰო, მართლა, ეს აზრი გაუჩნდა თანამოსამსახურესთან ალიმენტის თაობაზე ლაპარაკის შემდეგ. მე ქალიშვილის ინტერესებს ვიცავდი, როტმისტრი გაცხარდა და თქვა, კაცმა რომ თქვას, არასდროს შეიძლება იცოდე, ვინაა ბავშვის მამაო. ღმერთია მოწამე, ყველაფერი ვიღონე მის დასამშვიდებლად, მაგრამ ახლა, მგონი, ველარაფერი უშველის!

(ტირის).

ე ქ ი მ ი. ჰო, მაგრამ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. საჭიროა, ზომების მიღება, თანაც ისე, რომ ეჭვი არ აღვუძრათ. მითხარით, როტმისტრს ადრე ჰქონდა ამგვარი მოვლენები?

ლ ა უ რ ა. ექვსი წლის წინათ რაღაც ამდაგვარი ჰქონდა. მაშინ თავის ექიმთან გაგზავნილ წერილში აღიარა, ჩემი გონება მაშინებსო.

ე ქ ი მ ი. დიახ, დიახ... ამდაგვარ შემთხვევებს ღრმა ფესვები აქვს... რა თქმა უნდა, ოჯახის საიდუმლოებანი და ასე შემდეგ. ვერ ვბედავ გამოგკითხოთ და იმით უნდა დავკმაყოფილდე, რასაც ვხედავ. რაც იყო, იმას ვერ დააბრუნებ, მაგრამ მკურნალობა ჯერ კიდევ მაშინ იყო საჭირო... როგორ ფიქრობთ, საღაა ამჟამად?

ლ ა უ რ ა. აბა, რა ვიცი... მაგრამ ახლა საშინლად აგზნებულია.

ე ქ ი მ ი. გინდათ, როტმისტრის დაბრუნებას დაველოდო? ეჭვი რომ არ აღვუძრათ, შეიძლება ვუთხრათ, თითქოს დედათქვენი უქეიფოდაა და მის სანახავად მოვედი.

ლ ა უ რ ა. ჰო, ასე აჯობებს!... ოღონდ არ მიგვატოვოთ, ექიმო! ნეტავ იცოდეთ, რა მოუსვენრად ვარ! უკეთესი ხომ არ იქნება, პირდაპირ მეთქვა როტმისტრისათვის, რას ფიქრობთ მის ჯანმრთელობაზე?

ე ქ ი მ ი. სულით ავადმყოფებს თავიანთ ჯანმრთელობაზე არაფერს ეუბნებიან, ვიდრე თვითონ არ დაიწყებენ ლაპარაკს ამ თემაზე... თანაც ყველას როდი ეუბნებიან. ყოველივე იმაზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება საქმე... ჩვენი აქ დარჩენა არ შეიძლება... უმჯობესია, გვერდითა ოთახში გავიდეთ... ეს ისე არ მოხვდება თვალში.

ლ ა უ რ ა. დიახ, უკეთესი იქნება, აქ კი მარგრეტი იჯდეს. მარგრეტი ჩვეულებრივ არ წვება როტმისტრის დაბრუნებამდე. როტმისტრზე მხოლოდ ის ახდენს ერთგვარ ზეგავლენას.

(მიდის მარცხენა კარისკენ)

მარგრეტ! მარგრეტ!

ძ ი ძ ა. რას მიბრძანებთ? ბატონი როტმისტრი დაბრუნდა?

ლ ა უ რ ა. არა.... დაჯექი აქ და დაელოდე... ხოლო როცა მოვა, უთხარი, დედა ავად გახდა და მასთან ექიმია-თქო.

ძ ი ძ ა. კარგი... ყველაფერს ისე ვიზამ, როგორც მითხარით.

ლ ა უ რ ა. (აღებს საცხოვრებელი ოთახების კარს). აქეთ მობრძანდით, ექიმო!...

ე ქ ი მ ი. გმადლობთ.

მეორე გამოსვლა

ძ ი ძ ა დ ა ბ ე რ ტ ა

ძ ი ძ ა. (მაგიდასთან ჯდება, იღებს ფსალმუნს და საოვალეს). დიახ... დიახ... დიახ...
(კითხულობს ხმადაბლა).

ცრემლით სავსეა ცხოვრების გზანი,
ბოლოს კი ყველას სიკვდილი გველის.
ანგელოზები სიკვდილისანი
სულ თავს გვადგანან მსახვრელი ცელით,
და დაგვძახიან: აქ სუფევს ცოდვა,
ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო.
დიახ... დიახ... დიახ... (კითხულობს)

და რაც კი ხაროს, სიცოცხლით სუნთქავს,
ოდეს ჩამოჰკრავს საწურთოს ზარი,
აღესრულება ყოველი სრულად
და მყის დაფარავს მიწა სამარის.
აქ სუფევს ცოდვა,
ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო.
დიახ, დიახ...

ბ ე რ ტ ა. (შემოდის. ხელში საყავე და საქარგი უჭირავს. ლაპარაკობს ჩურჩულით). მარგრეტ, შეიძლება აქ დავჯდე? ზემოთ მეშინია!

ძ ი ძ ა. ღმერთო, ბერტა, ჯერ არ დწოლილხარ?

ბ ე რ ტ ა. შინდა, მამას საჩუქარი მოვუმთავრო, შენ კიდევ ყელის ჩასაკოკლოზინებელი მოგიტანე.

ძ ი ძ ა. კი, მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება, ჩემო კარგო! ხვალ დილას ადრე უნდა ადგე, უკვე თორმეტს გადაცილებულია!

ბ ე რ ტ ა. მერე რა? ზემოთ მარტო ჯდომა არ შემიძლია... სულ რაღაც მეჩვენება.

ძ ი ძ ა. ხომ ხედავ... აკი გეუბნებოდი? ეს სახლი ცუდ ადგილას დგას. რა მოგეჩვენა?

ბ ე რ ტ ა. იცი, თითქოს სხვენზე ვიღაც მღეროდა.

ძ ი ძ ა. სხვენზე?... ამ დროს?

ბ ე რ ტ ა. ჰო, ჰო, მერედა ისე ნაღვლიანად, ისე ნაღვლიანად მღეროდა.... ასეთი ნაღვლიანი სიმღერა არასდროს მომისმენია. თანაც, სიმღერა თითქოს სხვენის საკუჭნაოდან ისმოდა... იცი, მარცხენა მხრიდან, იქ, სადაც აკვანი დგას.

ძ ი ძ ა. ჰო, ჰო... დღეს ამინდიც საზიზღარია! მგონი, საკვამურეები სულ ამოიქოლოს... ჰო, მხიარული შობა გვაქვს, გოგონი!

ბ ე რ ტ ა. მარგრეტ, მამა მართლა ავადაა?

ძ ი ძ ა. რა თქმა უნდა, ავადაა.

ბ ე რ ტ ა. მაშასადამე, შობის წინადღეს ვერ ვიდღესასწაულებთ. მერე თუ ავადაა, რატომღა დადის?

ძ ი ძ ა. ისეთი ავადმყოფობა სჭირს, შვილო, სიარული მაინც შეუძლია. წყნარად, წინკარში ვიღაც შემოვიდა! წადი, დაწექი... საყავეც წაიღე! თორემ მამა გაგიბრაზდება.

ბ ე რ ტ ა. (საყავე მიაქვს).

ღამე ნებისა, მარგრეტ.

ძ ი ძ ა. ღამე ნებისა, შვილო! ღმერთი იყოს შენ შემწე.

მესამე გამოსვლა

ძ ი ძ ა დ ა რ ო ტ მ ი ს ტ რ ი

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (პალტოს იხდის). ჯერ კიდევ არ გძინავს? წადი, დაწექი!

ძ ი ძ ა. შენ გელოდებოდი. (როტმისტრი სანთელს ანთებს, ბიუროს აღებს, ჯდება და ჯიბიდან წერილებს და გაზეთებს იღებს).

ადოლფ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რა გინდა?

ძ ი ძ ა. მოხუცი ქალბატონი ავადაა... ჩვენთან ექიმია.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ძალიან ცუდადაა?

ძ ი ძ ა. მგონი, არა... გაცივდა.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (დგება). მარგრეტ, ვინ იყო შენი შვილის მამა?

ძ ი ძ ა. რამდენჯერ მითქვამს, თაღლითი იოჰანსონი-მეთქი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დარწმუნებული ხარ?

ძ ი ძ ა. რა ბავშვივით იქცევი! ის იყო, აბა, ვინ იქნებოდა.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. თვითონ დარწმუნებულია, რომ ბავშვის მამა იყო? შენ შეგიძლია გჯეროდეს ეს, მეხ კი არა. ეგაა განსხვავება!

ძ ი ძ ა. ვერავითარ განსხვავებას ვერ ვამჩნევ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. შენ ვერ ამჩნევ, მაგრამ განსხვავება მაინც არის!
(ფურცლავს მაგიდაზე დადებულ ფოტოალბომს). როგორ ფიქრობ, ბერტა მგავს?
(ალბომში ვიღაცის ფოტოს აკვირდება).

ძ ი ძ ა. გაბრილი ვაშლივით ჰგავხართ ერთმანეთს!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. კი, მაგრამ იოჰანსონი აღიარებდა, რომ მამა იყო?

ძ ი ძ ა. ძალაუნებურად კი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ძალაუნებურად? საშინელებაა! აგერ ექიმიც!

მეოთხე გამოსვლა

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი, ძ ი ძ ა დ ა ე ქ ი მ ი

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. საღამო მშვიდობისა, ექიმო! რა სჭირს ჩემს სიდედრს?

ე ქ ი მ ი. საშიში არაფერია... მარცხენა ფეხი ოღრძო ცოტათი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მარგრეტმა მითხრა, თითქოს გაცივდა. ერთი სხვას ამბობს, მეორე — სხვას... წადი, დაწექი, მარგრეტ! (ძიძა მიდის. პაუზა). დაბრძანდით, ექიმო!

ე ქ ი მ ი. (ჯდება). გმადლობთ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ზებრისა და ჭაკის შეჯვარებით მართლა ზოლიანი კვიცები იბადებიან?

ე ქ ი მ ი. (გაკვირვებულია). ნამდვილად.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ისიც მართალია, რომ მომდევნო

ყვიცებიც ზოლებიანია, თუმცა ჭაკი ზებრასთან კი არა, ულაყთან შეჯვარდა?

ექიმი. ესეც მართალია.

როტმისტრი. მაშ, გარკვეულ ვითარებაში უბრალო ულაყი შეიძლება ზოლიანი კვიცის მამა იყოს და პირიქით.

ექიმი. დიახ, სწორია.

როტმისტრი. ესე იგი, შთამომავლობის მსგავსება მამასთან არაფერს ამტკიცებს?

ექიმი. აბა, როგორ გითხრათ?..

როტმისტრი. ესე იგი, მამობა არ შეიძლება დამტკიცდეს.

ექიმი. ო, ბატონო როტმისტრო...

როტმისტრი. თქვენ ქვრივი ხართ?.. გყავთ შვილები?

ექიმი. დიახ...

როტმისტრი. როგორც მამას, ზოგჯერ თავი სასაცილო ვდგომარეობაში არ გიგრძვნიათ? ჩემთვის იმ მამაზე უფრო კომიკური არსება არ არის, თავის შვილს რომ ქუჩაში დასეირნებს, ან თავის შვილებზე ლაპარაკობს. რასაკვირველია, მამამ უნდა თქვას — „ჩემი ცოლის შვილი“ და არა „ჩემი შვილი“! არასდროს გიგრძვნიათ, რომ თქვენი მამობა მოჩვენებითია?... არასდროს გაგჩენიათ ცთუნება დაეჭვებისა? არ მინდა გითხრათ — არ დაეჭვებულხარ-მეთქი? — ვინაიდან როგორც ჯენტლემენი, ვფიქრობ, რომ თქვენს მეუღლეს არავითარი ეჭვი არ დაუსახურებია...

ექიმი. არა, ასეთი რამ არასდროს მიგრძვნია, ბავშვები კი, ბატონო როტმისტრო, უნდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენია, როგორც, მგონი, გოეთემ თქვა.

როტმისტრი. უნდა ვირწმუნოთ, როცა საქმეში ქალია გარეული? ო, ეს სახიფათოა!

ექიმი. ქალები სხვანაირნი არიან.

როტმისტრი. უახლესი გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ქალები ყოველთვის ერთნაირნი არიან. ახალგაზრდობაში ჯანმრთელი და არ ვფარავ — ლამაზი ვიყავი. და აი, ახლა ნათლად მახსენდება მხოლოდ ორი შემთხვევა, რომელებმაც შემდგომ ერთგვარი შიში ჩამინერგეს. ერთხელ გემით მივდიოდი და რამდენიმე მეგობართან ჯიხურში ვიჯექი. პირდაპირ ჩემ წინ რესტორნის ახალგაზრდა მეპატრონე იჯდა და ტირილით ჰყვებოდა, როგორ დაეღუპა საქმრო გემის ჩაძირვის ჟამს... ჩვენ გვეცოდებოდა იგი... შემდეგ შამპანური მოვითხოვე. მეორე ბოკალის შემდეგ გავბედე და ფეხზე შევახე ხელი, მეოთხე ბოკალის შემდეგ მუხლზე, დილას კი სრულიად დამშვიდებული წავიდა ჩემგან.

ექიმი. ბუზი შუა ზამთარშიც იცის... გამონაკლისია!

როტმისტრი. ახლა მოგახსენებთ მეორე და, ვფიქრობ, ნამდვილ ბუზზე — ზაფხულის ბუზზე... დასავლეთ ნაპირზე ერთ კურორტზე ვცხოვრობდი. იქ ერთი ბავშვიანი ახალგაზრდა ქალიც ისვენებდა. მისი ქმარი ქალაქში რჩებოდა. ქალი ღვთისმოსავი იყო და ძალიან მკაცრი შეხედულებები ჰქონდა. ხანდახან ქადაგებებს მიკითხავდა და, რამდენადაც ვატყობდი, პატიოსანი გახლდათ. ერთხელ ერთი წიგნი ვათხოვე, შემდეგ მეორე. წასვლისას წიგნები დამიბრუნა; წიგნებს ხომ იშვიათად აბრუნებენ. სამი თვის შემდეგ კი ერთ-ერთ წიგნში მისი სავიზიტო ბარათი ვნახე, რომელშიც ფრიად გულახდილად მიხსნიდა სიყვარულს. ეს სიყვარულის ახსნა ბარბარეს უბიწო გახლდათ, რამდენადაც შეიძლება უბიწო იყოს გათხოვილი ქალის განდობა უცხო მამაკაცთან, რომელიც მას არასდროს გაარშიყებია. აქედან გამომდინარეობს მორალი: ერწმუნე, მაგრამ მეტისმეტად ნუ ერწმუნები.

ექიმი. არც მეტისმეტად ურწმუნო უნდა იყო.

როტმისტრი. არა, არა, არც მეტისმეტად ურწმუნო და არც მეტისმეტად რწმენით აღვსილი, და იცით, ექიმო, ქალი ისე ცბიერი და უპატიოსნო აღმოჩნდა, ქმარს უამბო, რომ შევუყვარდი. სწორედ აქაა მთავარი საფრთხე — ქალები ვერც კი აცნობიერებენ თავიანთ ინსტინქტურ უპატიოსნობას. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, დანაშაულს ამსუბუქებს, მაგრამ საბრალმდებლო განაჩენს ვერ აბათილებს.

ექიმი. თქვენს აზრებს, ბატონო როტმისტრო, ავადმყოფური იერი დაჰკრავთ... თავს ყურადღება მიაქციეთ.

როტმისტრი. თუ შეიძლება, ნუ ხმაროთ სიტყვა — ავადმყოფურს... მოგეხსენებათ, ნებისმიერ ორთქლის ქვაბში მაშინ ხდება აფეთქება, როცა ბანოომეტრი ციფრ ასს აღნიშნავს. მაგრამ ეს ციფრი ყველა ქვაბისათვის ერთნაირი როდია, გამიგეთ? სხვათა შორის, თქვენ ხომ აქ იმისთვის ბრძანდებით, მე დამაკვირდეთ. მამაკაცი რომ არ ვიყო, ახლა უფლება მექნებოდა ბრალის დადებისა, ან როგორც უფრო ეშმაკურად ამბობენ, ჩივილისა... შემეძლო მომერთვია დიაგნოზი, უფრო მეტიც, ავადმყოფობის ისტორია. მაგრამ, საუბედუროდ, მამაკაცი ვარ და სხვა გზა არა მაქვს, გარდა იმისა, რომ რომაელივით გულზე ხელები დავიკრიფო და გატრუნული ვიყო, ვიდრე სული არ ამომხდება. ღამე ნებისა!

ექიმი. თუ ავად ხართ, ბატონო როტმისტრო, და ყველაფერს მომიყვებით, ვფიქრობ, ამით მამაკაცური თავმოყვარეობა არ შეგელახებათ. მე მეორე მხარესაც უნდა მოვუსმინო.

როტმისტრი. როგორც ჩანს, ერთი მხარის მოსმენაც საკმარისად მიგიჩნევიათ.

ექიმი. არა, ბატონო როტმისტრო! იცით, როცა ქალბატონ ალვინგს[1] ვუსმენდი, უნებლიეთ გავიფიქრე — საოცრად მენანება, რომ ბატონ ალვინგს უკვე სიკვდილი აიძულეს-მეთქი.

როტმისტრი. მერედა რა გგონიათ? ყველაფერზე უარს იტყოდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო. რომელიმე ქმარი რომ მკვდრეთით აღდგეს, ვინმე რამეს დაუჯერებს? ღამე მშვიდობისა, ექიმო. ხომ ხედავთ, მშვიდად ვარ! წაბრძანდით და თქვენც მშვიდად იძინეთ!

ექიმი. ღამე ნებისა... აქ უკვე აღარაფერი მესაქმება.

როტმისტრი. ამრიგად, მტრები ვართ, არა?

ექიმი. სულაც არა. მხოლოდ მენანება, რომ არ შეიძლება მეგობრები ვიყოთ. ღამე ნებისა!

(მიდის).

როტმისტრი. (ექიმს მიაცილებს კარამდე, რომელიც უკანა პლანზე ჩანს. შემდეგ მარცხენა კარისკენ მიდის და ცოტას გამოაღებს).

---

[1] ჰ. იბსენის „მოჩვენებების“ პერსონაჟი.

შემოდი... ლაპარაკს მაინც შევძლებთ! ვიცოდი, კართან რომ იდექი და გვაყურადებდი.

მეხუთე გამოსვლა

(ლაურა შემცბარი შემოდის, როტმისტრი ბიუროსთან ჯდება).

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მართალია, ძალზე გვიანაა, მაგრამ სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას. დაჯექი. (პაუზა). ხაღამო ხანს ფოსტაში ვიყავი და წერილები წამოვიღე. მათი მეშვეობით ცხადი გახდა, როე ჩემ მიერ გაგზავნილ წერილებს ხელთ იგდებდი ზუსტად ისევე, როგორც ჩემს სახელზე გამოგზავნილ წერილებს. ამის შედეგად დრო დამაკარგვინე და ამით ჩემი მუშაობის ნაყოფი მოსპე.

ლ ა უ რ ა. მე კეთილი სურვილი მამოძრავებდა, ვინაიდან ამ შენი მუშაობის გამო სამსახურს არად აგდებდი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რა თქმა უნდა, კეთილი სურვილი არ გამოძრავებდა, ვინაიდან იცოდი, რომ ეს მუშაობა ერთ მშვენიერ დღეს უფრო დიდ პატივს მომაგებდა, ვიდრე სამსახური. შენ კი ყველაზე ნაკლებად გსურდა, პატივი მომგებოდა, ვინაიდან ეს საჩინოს გახდიდა შენს არარაობას. შემდეგ შენს სახელზე გამოგზავნილი წერილები გავხსენი.

ლ ა უ რ ა. კეთილშობილურად მოქცეულხარ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ცხადია, შენ უკეთესი აზრისა ხარ ჩემზე, ვიდრე უნდა მოვლოდებოდი. ამ წერილებიდან ნათელია, როე გარკვეული დროიდან ამიმხედრე ადრინდელი მეგობრები და ხმა გაავრცელე, თითქოს სულით ავადმყოფი ვარ. ეს საქმე სრული წარმატებით განახორციელე და ახლა მეთაურიდან დაწყებული მზარეულის ჩათვლით კაცშვილს ნორმალურ ადამიანად არ მივაჩნივარ. ხოლო ავადმყოფობასთან დაკავშირებით საქმე ასე გამოიყურება: როგორც მოგეხსენება, გონება სრულიად საღი მაქვს და შეეიძლია როგორც სამსახურებრივი, ასევე მამობრივი მოვალეობანი შეავასრულო. გრძნობებსაც ერთგვარად ვიმორჩილებ, ნებისყოფაც ჯერჯერობით არ წამრთმევია. ოღონდ ჩემი ნებისყოფა ერთთავად დათრგუნე და, თუ ბერკეტი მოსუსტდა, მთელი მანქანა დაილეწება. შენი გრძნობების გადასინჯვას არ ვაპირებ, ვინაიდან საერთოდ არავითარი გრძნობა არ გაგაჩნია, მე შენი ინტერესების განქიქება მინდა.

ლ ა უ რ ა. თქვი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. შენ შენი მოქცევით გულში ეჭვი ჩამიბუდე, შეიძლება გონება ამერიოს, აზრები უკვე მებლანდება. ეს არის სწორედ მოახლოებული სიგიჟე, რომელსაც სულით და გულით ელოდები და რომელმაც შესაძლოა ყოველ წუთს იჩინოს თავი. ახლა ერთი საკითხის გადაწყვეტა მოგიწევს: რა უფრო გაძლევს ხელს — ჯანმრთელი რომ დავრჩე, თუ ავად გავხდე. იფიქრე! თუ ლოგინად ჩავვარდი, სამსახურს დამატოვებინებენ და თქვენი საქმე ცუდად წავა. თუ მოკვდი, სადაზღვევო პრემიას მიიღებთ, ხოლო თუ თვითონ მოვიკალი თავი, ამ პრემიასაც დაკარგავთ. მაშასადამე, შენთვის სჯობს ბოლომდე ვიცოცხლო.

ლ ა უ რ ა. რა არის ეს, ხაფანგია?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რასაკვირველია! შენზეა დამოკიდებული, გვერდს აუვლი, თუ თავს შეყოფ შიგ.

ლ ა უ რ ა. ამბობ, თავს მოვიკლავო?! ამას არ იზამ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რატომ ხარ დარწმუნებული?! ვგონია, ადამიანმა შეიძლება იცოცხლოს, როცა ამ ქვეყნად არავინ და არაფერი დარჩენია?

ლ ა უ რ ა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფარ-ხმალს ყრი?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ზავს გთავაზობ.

ლ ა უ რ ა. პირობები?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. გონება შემინარჩუნე! ეჭვებისგან გამათავისუფლე და ბრძოლას შევწყვეტ.

ლ ა უ რ ა. რომელი ეჭვებისგან?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ბერტას გაჩენის ეჭვებისგან.

ლ ა უ რ ა. განა რაიმე გეეჭვება?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მეეჭვება და ეს ეჭვი შენ თვითონ ჩამინერგე!

ლ ა უ რ ა. მე?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ეჭვი ისე ჩამაწვეთე, როგორც ლენცოფას ზეთს აწვეთებენ ყურში, გარემოებებმა კი მას ხელი შეუწყვეს გაზრდილიყო. სინამდვილე გამაგებინე, პირდაპირ მითხარი, ასე და ასეა-თქო და გაპატიებ.

ლ ა უ რ ა. რომ გითხრა, ტყუილია-მეთქი, არ დამიჯერებ, როე გითხრა, მართალია-მეთქი, მხოლოდ მაშინ დამიჯერებ. მაშასადამე, გინდა ასე იყოს?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. უცნაურია... ეს იმიტომ, რომ პირველის დამტკიცება არ შეიძლება, მეორე კი შეიძლება დამტკიცდეს!

ლ ა უ რ ა. შენს ეჭვს რაიმე უდევს საფუძვლად?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. უდევს და არც უდევს!

ლ ა უ რ ა. როგორც ჩანს, გინდა დამნაშავე აღმოვჩნდე, რომ ჩამომშორო და მარტო განაგო ბავშვის ცხოვრება. მაგრამ ამ მახეში ვერ გამაბამ.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ნუთუ გგონია, რომ სხვის ბავშვს დავიტოვებ, თუ შენი დამნაშავეობა ვირწმუნე?

ლ ა უ რ ა. პირიქით, დარწმუნებული ვარ, სწორედ საწინააღმდეგოს გააკეთებ! და წეღან იცრუე, როცა პატიებას შემპირდი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (დგება). ლაურა, მიხსენი, იხსენი ჩემი გონება. არ გესმის, რას ვლაპარაკობ? თუკი ბავშვი ჩემი არაა, არავითარი უფლება არ მექნება მასზე და არც მინდა მქონდეს. შენ აკი სწორედ ეს გინდა! ხომ მართალს ვამბობ? თუ კიდევ უფრო მეტი გსურს? გინდა ბავშვის აღზრდის უფლება ხელთ იგდო და მეც შემინარჩუნო, როგორც ცხოვრების სახსრების წყარო?

ლ ა უ რ ა. უფლება კი მინდა. ჩვენ ხომ სწორედ ამ უფლების გამო ვებრძვით ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მე, კაცს, რომელსაც საიქიო ცხოვრება არა მწამს, სწორედ ბავშვი მესახებოდა მომავალ ცხოვრებად. ბავშვს განუყოფლად უკავშირდებოდა ჩემი წარმოდგენა მარადიულობაზე. და შესაძლოა, ეს იყო ერთადერთი აზრი, რასაც რეალური მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ამ აზრს ჩამიკლავ, ჩემი ცხოვრება დაინგრევა.

ლ ა უ რ ა. რატომ არ განვქორწინდით ადრე?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. იმიტომ, რომ ბავშვი გვაკავშირებდა და ეს კავშირი მიზნად იქცა. მაგრამ როგორ მოხდა ყოველივე? რანაირად? არასდროს მიფიქრია ამაზე, ახლა კი ყველაფერი მუქარით, წყევლა-კრულ-

ვით ცოცხლდება ჩემს გონებაში... ორი წელი ცოლქმარი ვიყავით... და ბავშვები არ გვყოლია. ყველაზე მეტად შენ იცი, რატომ. მე ავად გავხდი... სიკვდილის პირას ვიყავი. ერთხელ, როცა გონება გამინათდა, - გვერდითა ოთახიდან ლაპარაკი შემომესმა. შენ ვექილს ჩემს მდგომარეობაზე ელაპარაკებოდი... ვექილმა აგიხსნა, მემკვიდრე არა ხარ, ვინაიდან შვილები არ გყავსო, და შემდეგ გკითხა, გაქვს თუ არა ბავშვის ყოლის იმედიო. რა უპასუხე, არ ვიცი... ვერ გავიგონე. მე გამოვჯანსაღდი და ქალიშვილი გაგვიჩნდა... ვინაა მისი მამა?

ლ ა უ რ ა. შენ.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არა, მე არა ვარ! ამ კითხვაში დანაშაულია ჩამარხული და მისი გვამი ნელ-ნელა ყროლდება. მერედა, რა ჯოჯოხეთური დანაშაული! შავი მონების განსათავისუფლებლად თქვენ საკმაოდ ჩვილი გული აღმოგაჩნდათ, თეთრები... თეთრები კი დატუსაღებული გყავთ! მე, როგორც მონა, შენთვის, შენი შვილისთვის, შენი დედისთვის, შენი მოახლეებისთვის ვმუშაობდი! მსხვერპლად გავიღე ჩემი მოწოდება, კარიერა... გადავიტანე ტანჯვა, წამება, უძილო ღამეები, მღელვარება თქვენ გამო, ვიდრე თმა არ გამიჭაღარავდა... და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ შენ უზრუნველად გეცხოვრა, ხოლო როცა მოხუცდებოდი, კიდევ ერთხელ შეგძლებოდა შენი ბავშვისთვის მინიჭებული ცხოვრებით დამტკბარიყავი. და ეს ყველაფერი ისე გადავიტანე, ოდნავადაც არ დამიწუწუნია, ვინაიდან თავი ბავშვის მამა მეგონა. ეს ქურდობის ყველაზე მარტივი სახეა, ყველაზე უხეში მონობაა. გადავიტანე კატორღული მუშაობის ჩვიდმეტი წელი და უდანაშაულო აღმოვჩნდი. რით შეგიძლია დამაჯილდოვო სანაცვლოდ?

ლ ა უ რ ა. ახლა კი ნამდვილი გიჟი ხარ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (ჯდება). შენ სწორედ ჩემს სიგიჟეზე ამყარებ იმედს! ვხედავდი, როგორ ცდილობდი, საკუთარი დანაშაული დაგეფარა. მეცოდებოდი, რადგან შენი მწუხარება არ მესმოდა. ხშირად გიამებდი სინდისის ქენჯნას, რადგან მეგონა, რომ ავადმყოფურ ფიქრებს გიქარვებდი. მესმოდა, როგორ ყვიროდი ძილში და არ მინდოდა ეს ყვირილი გამეგონა... მახსენდება ბერტას დაბადების წინა ღამე. ორი-სამი საათი იქნებოდა, ვიჯექი და ვკითხულობდი. უცებ ისე იყვირე, თითქოს გაღრჩობდნენ. „არ მომიახლოვდე! არ მომიახლოვდეო!“ — გაჰკიოდი. კედელზე დავაკაკუნე... არ მინდოდა კიდევ რამე გამეგონა! ეჰვი დიდი ხანია მაწვალებდა, მაგრამ არ მსურდა მისი დამამტკიცებელი სიტყვები მოესმინა. მთელი ეს ტანჯვა მხოლოდ შენი გულისთვის გადავიტანე!... რით დამაჯილდოვე ამის სანაცვლოდ?

ლ ა უ რ ა. რა უნდა გავაკეთო? გეფიცები ღმერთს და ყოველივეს, რაც წმინდად მიმაჩნია, ბერტას მამა შენა ხარ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რა აზრი აქვს დაფიცებას, როცა თვითონ მითხარი, დედას ბავშვის გულისთვის შეუძლია ყოველგვარი დანაშაული ჩაიდინოსო, შეუძლია და კიდევაც უნდა აღასრულოსო. გაფიცებ წარსულს, როგორც დაჭრილი იხვეწება, დამკარით და სიკვდილი მაღირსეთო, ისე გევედრები, ყველაფერი მითხრა. ნუთუ ვერ ხედავ, ისე შემოგჩივი, როგორც დედას. ნუთუ არ შეგიძლია დაივიწყო, რომ მე მამაკაცი და ჯარისკაცი ვარ, რომელიც ერთი სიტყვით ათვინიერებდა ადამიანებს და ცხოველებს? მე მხოლოდ თანაგრძნობას გთხოვ ავადმყოფური, უარს ვამბობ ადრინდელ უფლებაზე, გევედრები შემიბრალო!

ლ ა უ რ ა (უახლოვდება და შუბლზე ხელს ადებს) შენ მამაკაცი ხარ და ტირი?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დიახ, დიახ, მამაკაცი ვარ და ვტირი. განა მამაკაცს თვალები არა აქვს? განა მამაკაცს ხელები, სხეული, გრძნობები, სიყვარული, ვნებები არა აქვს? განა ქალივით იმავე საჭმელს არა სჭამს, იგივე იარაღით არ იყენებენ ჭრილობას, განა იგივე ზამთარი და ზაფხული არ აიძულებს, იგრძნოს სიცივე და სითბო? და თუ თქვენ, ქალები დაგვჭრით, განა სისხლისგან არ უნდა დავიცალოთ? როცა გვილიტინებთ, არ ვხითხითებთ? მამაკაცმა რატომ არ უნდა დაიჩივლოს და რატომ არ უნდა იტიროს? ეს მამაკაცური საქციელი არაა! რატომ არაა მამაკაცური საქციელი?

ლ ა უ რ ა. იტირე, შვილო ჩემო, დედაშენი შენთანაა. გახსოვს, თავდაპირველად რომ შენი დედა ვიყავი. შენს დიდ სხეულს ნერვები ვერ იმორჩილებდა. შენ მოწიფული ბავშვი იყავი, რომელიც მეტისმეტად ადრე დაიბადა, ან რომლის დაბადება არ უნდოდათ.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო. ჩემს მშობლებს ჩემი გაჩენა არ უნდოდათ... ამიტომაც დავიბადე უნებისყოფო. და როცა ჩვენი სიცოცხლე შეერთდა, მეჩვენებოდა, თითქოს მე შენ შეგავსე. ამიტომაც ძალა-უფლება შენ უნდა გქონოდა. მე — ყაზარმაში ჯარისკაცების უფროსი — შენს ხელქვეითად ვიქეცი... უშენოდ არსებობა არ შემეძლო, დაჩოქილი შემოგყურებდი, როგორც უზენაეს არსებას, შემოგყურებდი, როგორც შენი უგუნური ბავშვი.

ლ ა უ რ ა. ჰო, მაშინ სწორედ ასე იყო... ამიტომაც მიყვარდი საკუთარი შვილივით. და ყოველთვის — ეს ალბათ შეამჩნიე — ყოველთვის, როცა შენი გრძნობები სახეს იცვლიდნენ და ჩემს საყვარლად იქცეოდი, სირცხვილი მწვავდა და ხვევნა-კოცნით მოგვრილ ნეტარებას ჩემს გულში სინდისის ქენჯნა ენაცვლებოდა, როგორც სისხლის აღრევის შემდეგ ხდება ხოლმე... დედა საყვარლად იქცეოდა! ფუი!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ვამჩნევდი ამას, მაგრამ არაფერი მესმოდა. ვფიქრობდი, რომ სისუსტისთვის გეზიზღებოდი და, როცა კაცად ვიქცეოდი, მინდოდა ისე დამემორჩილებინე, როგორც ქალი.

ლ ა უ რ ა. სწორედ ეს იყო შეცდომა. დედა იყო შენი მეგობარი. კაცისა და ქალის სიყვარული მუდამ ბრძოლაა. და არ იფიქრო, თითქოს ჩემს თავს ვთმობდი... კი არ ვთმობდი, ვიღებდი იმას, რაც მინდოდა. ოღონდ უპირატესობა შენს მხარეს იყო და ამას ვგრძნობდი, მაგრამ მსურდა ეს შენც გეგრძნო.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. უპირატესობა ყოველთვის შენს მხარეს იყო. უნარი გქონდა აშკარად დაგეძინებინე და ვერც ვერაფერს ვხედავდი, არც არაფერი მესმოდა, მხოლოდ და მხოლოდ გმორჩილებდი. უნარი გქონდა, მოგეცა კარტოფილი და დაგერწმუნებინე, ატამიაო! მაიძულებდი შენი სულელური მონაფიქრი გენიალურ აზრად მიმეჩნია, აღვფრთოვანებულიყავი. შეგეძლო ჩემთვის დანაშაული ჩაგედინინებინა, უსა-

ზომოდ ულირსი ნაბიჯი გადაგედგმევინებინა. ჭკუა გაკლდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ჩემი რჩევა შეგესმინა, გსურდა შენს გემოზე მოვქცეულიყავი. ხოლო როცა გამოვფხიზლდი და მივხვდი, რომ ღირსება შემელახა, მინდოდა იგი რაღაც დიადი გმირობით, აღმოჩენით ან პატიოსნური თვითმკვლელობით აღმედგინა... ომში წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ვერ შევძელი. ამიტომ მეცნიერებას ჩავებღაუჭე და ახლა, როცა ნაყოფისკენ ნელი გავიწოდე, გინდა ეს ხელი მომაჭრა. ახლა სახელგატეხილი ვარ და სიცოცხლე აღარ შემიძლია... შერცხვენილ მამაკაცს სიცოცხლე აღარ შეუძლია!

ლ ა უ რ ა. ქალს?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. შეუძლია! ქალს მოეძევება ის, რაც მამაკაცს არ გააჩნია — ბავშვები. მაგრამ ჩვენ და სხვებმა ცხოვრება ბავშვივით შეუგნებლად გავლიეთ, საკუთარი ოცნებებით, იდეალებით, ილუზიებით დაბანგულებმა, და უცებ გამოვიღვიძეთ. ამას კიდევ რა უშავდა, მაგრამ როცა გავიღვიძეთ, იმ ადგილას, სადაც თავი უნდა ყოფილიყო, ფეხები აღმოჩნდა და ისიც, ვინც გაგვაღვიძა, თვითონ გამოდგა მთვარეული. როცა ქალები ხუცდებიან და ქალობას კარგავენ, წვერი ეზრდებათ. საინტერესოა, რა ეზრდებათ მამაკაცებს, როცა ხუცდებიან და კაცობას კარგავენ? მამლებივით კი ყივიან, მაგრამ გაირკვევა, რომ ყვერულები ყოფილან და არა მამლები, და მათ მოწოდების ყივილით ყვერულები ეუბნებიან მოძახილს. ბოლოს, როცა მზე უნდა ამოვიდეს, ჩვენ, შუქდაფრქვეულნი ვსხედვართ ნანგრევებში, როგორც ძველ კარგ დროს. და ნათელი ხდება, რომ არავითარი გამოღვიძება არ ყოფილა, იყო მხოლოდ დილის თვლემა და გაუსაძლისი სიზმრები!

ლ ა უ რ ა. შენ პოეტი უნდა ყოფილიყავი!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ვინ იცის!

ლ ა უ რ ა. ახლა კი მე მეძინება! თუ კიდევ რაიმე აზრი გაწუხებს, დილისთვის შემოინახე!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. კიდევ ერთი რამ უნდა გკითხო, რაც რეალურ სამყაროს შეეხება. გძულვარ?

ლ ა უ რ ა. დროდადრო კი! მაშინ, როცა მამაკაცი ხარ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ეს რაღაცნაირი რასობრივი სიძულვილია! თუ მართალია, რომ ჩვენი წინაპრები მაიმუნები არიან, მაშინ უთუოდ სხვადასხვა ჯიშისგან წარმოვსდგებით — ჩვენ ხომ ერთმანეთს არ ვგავართ?

ლ ა უ რ ა. რატომ ლაპარაკობ ასე?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ვგრძნობ, რომ ამ ბრძოლაში ერთ-ერთი ჩვენგანი დაიღუპება.

ლ ა უ რ ა. ვინ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ცხადია, უსუსტესი!

ლ ა უ რ ა. და უძლიერესი მართალი აღმოჩნდება?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ყოველთვის ისაა მართალი, ვისაც ძალაუფლება აქვს.

ლ ა უ რ ა. მაშ, მე ვყოფილვარ მართალი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. განა ძალაუფლება უკვე შენს ხელშია?

ლ ა უ რ ა. დიახ, და კანონიერი, ვინაიდან ხვალ შენ მეურვე დაგენიშნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მეურვე?

ლ ა უ რ ა. დიახ, შენს ბოდვას აინუნში არ ჩავაგდებ და ჩემს ბავშვს თვითონვე აღვზრდი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ვინ გადაიხდის აღზრდის ფულს რაკიღა მე არ ვიქნები?

ლ ა უ რ ა. შენი პენსია ხომ იქნება!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (მუქარით მიიწევს მისკენ). რა გზით ჭიაღწევ მეურვეობას?

ლ ა უ რ ა. (წერილს იღებს) ამ წერილის საფუძველზე, რომლის დამოწმებული ასლი უკვე სასამართლოშია.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რომელი წერილისა?

ლ ა უ რ ა. (მარცხენა კარისკენ იხევს). შენი საკუთარი წერილისა, რომელშიც თვითონ უცხადებ ექიმს, გიჟი ვარო! (როტმისტრი დუმს, თვალჩაციებით მისჩერებია). შენ უკვე აღასრულე მეტად საჭირო მამისა და მარჩენალის მოვალეობა. ამიერიდან აღარავის სჭირდები და უნდა წახვიდე... უნდა წახვიდე, ვინაიდან, როგორც ხედავ, ჩემი გონება ისევე ძლიერია, როგორც ჩემი ნება... უნდა წახვიდე იმიტომ, რომ არ ისურვე დარჩენილიყავი და ისინი გეცნო.

(როტმისტრი მაგიდასთან მიდის, ანთებულ ლამპას სტაცებს ხელს და ლაურას ესვრის. ლაურა კარს იქით იმალება).

მესამე მოქმედება

იგივე დეკორაცია, ოღონდ ლამპაა სხვა. შპალერაკრულ კარზე სკამია მიდგმული.

პირველი გამოსვლა

ლ ა უ რ ა და ძ ი ძ ა

ლ ა უ რ ა. გასაღები მიიღე?

ძ ი ძ ა. მივიღე? ღმერთო, რას ამბობ! უბრალოდ ამოვიღე ჯიბიდან, როცა ნიოიდმა ტანსაცმელი გასაწმენდად გამოიტანა!

ლ ა უ რ ა. აჰ, მაშ, ნიოიდი მორიგეობს?

ძ ი ძ ა. დიახ, ნიოიდი.

ლ ა უ რ ა. მომეცი გასაღები.

ძ ი ძ ა. ოღონდ, ეს უკვე ნამდვილი ქურდობაა! გესმით, როგორ დადის ზემოთ! უკან და წინ! უკან და წინ!

ლ ა უ რ ა. კარი კარგადაა დაკეტილი?

ძ ი ძ ა. კარგად.

ლ ა უ რ ა. (აღებს ბიუროს და ჯდება). შენი მგრძნობიარობა იქით შეინახე, მარგრეტ! ჩვენს გადასარჩენად კი ყველაზე მეტად სიმშვიდეა საჭირო! (აკაკუნებენ) ვინ არის?

ძ ი ძ ა. (შემოსასვლელ კარს ოდნავ აღებს). ნიოიდია!

ლ ა უ რ ა. შემოუშვი!

ნ ი ო ი დ ი. (შემოდის). ბატონი პოლკოვნიკის დეპეშაა.

ლ ა უ რ ა. მომეცი! (კითხულობს). კარგი! ნიოიდ, ყველა ვაზნა ამოაცალე იარაღებსა და ფალსაკებს?

ნ ი ო ი დ ი. დიახ.

ლ ა უ რ ა. გარეთ კართან დამელოდე... პასუხს დავუწერ პოლკოვნიკს.

(ნიოიდი გადის, ლაურა წერს).

ძ ი ძ ა. გესმით? ნეტა რა ჩაიფიქრა?

ლ ა უ რ ა. ჩუმად, როცა ვწერ!

(ისმის ხერხის ხმა).

ძ ი ძ ა. (ხმადაბლა). ღმერთო, მოგვხედე... რით დამთავრდება ეს ყოველივე?

ლ ა უ რ ა. აჰა! გადაეცი ნიოიდს! დედამ არაფერი გაიგოს! გესმის?

(ძიძა კარისკენ მიდის. ლაურა ბიუროს უჯრას ხსნის და იქიდან ქაღალდებს იღებს).

მეორე გამოსვლა

ლ ა უ რ ა დ ა პ ა ს ტ ო რ ი

(პასტორი სკამს ჰკიდებს ხელს და ბიუროსთან ლაურას გვერდით ჯდება).

პ ა ს ტ ო რ ი. საღამო მშვიდობისა, ჩემო დაო! როგორც იცი, მთელი დღე შინ არ ვყოფილვარ... ახლახან დავბრუნდი... თქვენთან კი, გავიგე, ცუდი ამბები დატრიალებულა...

ლ ა უ რ ა. დიახ, ჩემო ძმაო, ასეთ დღეში ჯერ არ ვყოფილვარ.

პ ა ს ტ ო რ ი. ვატყობ, შენ არაფერი მოგსვლია!

ლ ა უ რ ა. მადლობა ღმერთს, არაფერი მომსვლია! მაგრამ წარმოიდგინე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

პ ა ს ტ ო რ ი. ერთი ამიხსენი, როგორ დაიწყო ეს ამბავი? მე უკვე უამრავი ვერსია მოვისმინე...

ლ ა უ რ ა. უცნაურ ბოდვას მოჰყვა, ბერტას მამა არა ვარო. ბოლოს კი ანთებული ლამპა სახეში მესროლა.

პ ა ს ტ ო რ ი. საშინელებაა! სრულიად ჩამოყალიბებული სიგიჟეა. რა მოჰყვება ამას?

ლ ა უ რ ა. აუცილებლად უნდა შევუშალოთ ხელი, რომ ახალი სისულელე არ ჩაიდინოს! ექიმმა უკვე საავადმყოფოში გაგზავნა კაცი გიჟის პერანგის მოსატანად. მე, ჩემის მხრივ, წერილი გავუგზავნე პოლკოვნიკს და ჯერჯერობით ვცდილობ, გავერკვე საქმეებში, რომელთაც იგი მიუტევებელი დაუდევრობით უძღვებოდა.

პ ა ს ტ ო რ ი. ნაღვლიანი ამბავია, ისე კი სულ ველოდი, რომ ერთად ცხოვრებას ცუდად დაასრულებდით. ცეცხლი და წყალი გარდაუვალ აფეთქებას იწვევს! ეს რა უდევს უჯრაში?

ლ ა უ რ ა. (ბიუროს უჯრა გამოსწია). ხედავ, ყველაფერს აქ ინახავდა.

პ ა ს ტ ო რ ი. (უჯრაში იქექება). ღმერთო! შენი თოჯინა... შენი ნათლობის პერანგი... ბერტას ფალრუნა.. შენი წერილები... მედალიონი... (თვალებს ეწმენდს) შენ მას უყვარდი, ლაურა! ამაზე არაფრით არ მოველოდი!..

ლ ა უ რ ა. ჰო, ადრე, ეტყობა, ვუყვარდი... მაგრამ დრო... დრო ყველაფერს ცვლის.

პ ა ს ტ ო რ ი. ეს ქაღალდი რა არის? სასაფლაოზე ადგილის მიზომვის ქვითარი! საგიჟეში მოხვედრას მართლაც სამარეში ყოფნა უჯობს! ლაურა, ერთი მითხარი, ბრალი ნამდვილად არაფერში მიგიძღვის?

ლ ა უ რ ა. მე? მე რა ბრალი უნდა მიმიძღოდეს, თუ კაცი გაგიჟდა?

პ ა ს ტ ო რ ი. ჰო, ჰო... არაფერს ვამბობ... რა თქმა უნდა, შენ მაინც ჩემიანი ხარ...

ლ ა უ რ ა. რას მიქარაგმებ?

პ ა ს ტ ო რ ი. (თვალჩაციებით მისჩერებია). ყური მიგდე!

ლ ა უ რ ა. რაო?

პ ა ს ტ ო რ ი. ყური მიგდე-მეთქი... ხომ არ უარყოფ, რომ გსურს ქალიშვილი ერთპიროვნულად აღზარდო?

ლ ა უ რ ა. ვერ გამიგია, რას მეუბნები...

პ ა ს ტ ო რ ი. მე კი აღტაცებული ვარ შენით!

ლ ა უ რ ა. ჩემით?... ჰმ...

პ ა ს ტ ო რ ი. მერედა, მე ვიქნები ამ თავისუფლად მოაზროვნის მეურვე? იცი, ყოველთვის მიმაჩნდა. რომ როტმისტრი ჩვენს ბოსტანში ამოსული სარეველა იყო.

ლ ა უ რ ა. (ჩაიცინებს. შემდეგ სერიოზულად ამბობს). თავს როგორ აძლევ ნებას, ეს მე, მის ცოლს მითხრა?

პ ა ს ტ ო რ ი. ო, რა ძალა გაქვს, ლაურა! წარმოუდგენლად დიდი ძალა გაქვს! ხაფანგში მოხვედრილ მელასავით ფეხს შემოიღრღნი, რომ ვინმეს ხელთ არ ჩაუვარდე. გენიალური ქურდივით თანამზრახველად არავის იხდი, საკუთარ სინდისსაც კი! სარკეში ჩაიხედე! ვერ ბედავ?!

ლ ა უ რ ა. სარკეში საერთოდ არ ვიხედები!

პ ა ს ტ ო რ ი. არა, უბრალოდ ჩახედვას ვერ ბედავ! შეგიძლია ხელზე დაგხედო? ზედ სისხლის ერთი მუხანათური ლაქაც არ გატყვია! არავითარი კვალი ვერაგული შხამისა! მოხდა პატარა, უბრალო მკვლელობა... ყველა კანონი უსუსურია... დანაშაული ჩადენილ იქნა შეუგნებლად... შეუგნებლად... ერთობ მიმზიდველი გამონაგონია!

ლ ა უ რ ა. შენ იმდენს ყბედობ, სინდისი ნამდვილად თვითონ არა გაქვს წმინდა. წადი და დამაბეზღე, თუ შეგიძლია!

პ ა ს ტ ო რ ი. მე, როგორც კაცს, კმაყოფილებას მომგვრიდა ეშაფოტზე შენი ხილვა! როგორც ძმა და მღვდელი, მსჯავრს არ გდებ. გესმის. რა მარჯვედ ხმარობს ხერხს?... ლაურა, იცოდე, თუ როტმისტრმა იქიდან გამოაღწია...

ლ ა უ რ ა. (შეშფოთებით წამოხტება). გგონია, გამოაღწევს?

პ ა ს ტ ო რ ი. ორ ფიცარს შემოგატყუპებს და ისე გადაგხერხავს...

ლ ა უ რ ა. (იარაღებთან მიდის). ყველა დაცლილია! ყველა დაცლილია! ნიოიდ! დამაცა!... არა! არა! აჰა, ექიმიც მოვიდა!

მესამე გამოსვლა

ი გ ი ვ ე ნ ი და ე ქ ი მ ი

ლ ა უ რ ა. (ექიმისკენ გაემართება). როგორც იქნა... ახლა დარწმუნდით?

ე ქ ი მ ი. დავრწმუნდი, რომ როტმისტრმა ძალა იხმარა, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, ეს ძალადობა განრისხების შედეგია თუ სიგიჟისა?

პ ა ს ტ ო რ ი. თქვენ ამ აფეთქებას გვერდი უნდა აუაროთ და აღიაროთ, რომ როტმისტრს აკვიატებული იდეები აქვს.

ე ქ ი მ ი. ბატონო პასტორო, ვფიქრობ, თქვენ უფრო აკვიატებული აზრები გაქვთ.

პ ა ს ტ ო რ ი. ჩემი ურყევი შეხედულებები უზენაესზე...

ე ქ ი მ ი. მოვეშვათ ამ შეხედულებებს!.. ახლა თქვენზეა დამოკიდებული, თქვენს ქმარს ციხეში გაგზავნით თუ საგიჟეში. რა აზრისა ხართ როტმისტრის საქციელზე?

ლ ა უ რ ა. უცებ არ შემიძლია ამაზე გიპასუხოთ.

ე ქ ი მ ი. თქვენ გარკვეული აზრი არა გაქვთ, არ იცით, რა უფრო არგებს თქვენი ოჯახის ინტერესებს?... თქვენ რაღას იტყვით, ბატონო პასტორო?

პ ა ს ტ ო რ ი. სკანდალი ორივე შემთხვევაში გარდაუვალია... ამ საკითხს ასე ადვილად ვერ გადაწყვეტ.

ლ ა უ რ ა. თუკი ძალადობისთვის მხოლოდ ჯარიმას მიუსჯიან! ძალადობა შეიძლება განმეორდეს!

ე ქ ი მ ი. ციხეშიც რომ მოხვდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდება და, რა თქმა უნდა, შურისძიებას შესძლებს! მაშ, ასე, საკითხი ოჯახურ თათბირზე გადაწყვიტეთ.

(ლაურა და პასტორი ჩურჩულით ბჭობენ. პაუზა).

პ ა ს ტ ო რ ი. დაე, აღსრულდეს სამართლიანობა!

ლ ა უ რ ა. ერთი წამით, ექიმო! თქვენ თვითონ აზრი არ გამოგითქვამთ... ავადმყოფზე.

ე ქ ი მ ი. თუ ჩემს აზრს ითხოვთ, მიმაჩნია, რომ როტმისტრი დამნაშავე კი არა, ავადმყოფია... გიჟია ის თუ არა, სიფრთხილეა საჭირო, რომ თავდასხმა არ გაიმეოროს... სადაა ძიძა?

ლ ა უ რ ა. ძიძა რად გვინდა?

ე ქ ი მ ი. როტმისტრთან საუბრის დროს ვანიშნებ და ავადმყოფს გიჟის პერანგს გადააცმევს... მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ნიშანზე გადააცმევს. პერანგი თან მაქვს.

(გადის წინა ოთახში და დიდი ფუთა შემოაქვს). ბრძანეთ, გეთაყვა, ძიძას დაუძახონ.

(ლაურა რეკავს).

პ ა ს ტ ო რ ი. საშინელებაა ცოცხალ ადამიანს ჩაუ ვარდე ხელთ.

(შემოდის ძიძა).

ე ქ ი მ ი. (იღებს პერანგს). აჰა! (ყველა შეინძრევა). ხედავთ, ამ პერანგს როტმისტრს უკნიდან გადააცმევთ. თუ ეს საჭიროდ ვცანი, რომ ხელი შევუშალოთ, ახალი ძალადობის აღსრულებაში. როგორც ხედავთ, მოძრაობაში ხელს შეუშლის გრძელი სახელოები... სახელოები უკნიდან იკვრება... აქ კიდევ არის ბალთებიანი ორი ქამარი. ბალთები, შეიძლება სკამს ან დივანს მიემაგროს... სადაც მოხვდება... შეძლებთ ამის გაკეთებას?

ძ ი ძ ა. არა, ბატონო ექიმო! არ შემიძლია... არ შემიძლია!..

ლ ა უ რ ა. ექიმო, თვითონ რატომ არ გადააცმევთ!

ე ქ ი მ ი. იმიტომ, რომ ავადმყოფი არ მენდობა. ისე, უპრიანი იქნებოდა, ეგ საქმე თქვენ გაგეკეთებინათ, მაგრამ იგი არც თქვენ გენდობათ.

ლ ა უ რ ა. (უარის ნიშნად ხელს აქნევს.) იქნებ პასტორმა გააკეთოს.

პ ა ს ტ ო რ ი. არამც და არამც, მადლობა მომიხსენებია.

მეოთხე გამოსვლა

ი გ ი ვ ე ნ ი და ნ ი ო ი დ ი

ლ ა უ რ ა. მიუტანე წერილი?

ნ ი ო ი დ ი. დიახ.

ე ქ ი მ ი. აჰ, ეს შენა ხარ, ნიოიდ, შენ ხომ ყველაფერი იცი... იცი, რომ როტმისტრი ავად გახდა... სულით ავადმყოფია. შეგიძლია დაგვეხმარო ჩვენ და... ავადმყოფს...

ნ ი ო ი დ ი. თუკი ბატონ როტმისტრს რამეში გამოვადგები. მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო...

ე ქ ი მ ი. შენ მას აი, ამ პერანგს გადააცმევ.

ძ ი ძ ა. არა, ხელი არ ახლოს. ნიოიდი რაღაცას ატკენს... უმჯობესია მე... ნაზად... წყნარად... ნიოიდი კი კარს უკან დადგეს ყოველი შემთხვევისათვის... კარს უკან იდგეს!... ასე უკეთესია!

(შპალერაკრულ კარზე აკაკუნებენ).

ე ქ ი მ ი. ისაა! პერანგი სკამზე დადევით, თავშალქვეშ. მე და პასტორი კი აქ შევხვდებით... სულ ერთია კარი ვერ გაუძლებს... წადით!

ძ ი ძ ა. (მარცხენა კარში გადის). ღმერთო, გვიშველე...

(ლაურა ბიუროს კეტავს და ისიც მარცხენა კარში გადის, ნიოიდი უკანა პლანზე მჩინარ კარში გადის).

მეხუთე გამოსვლა

პ ა ს ტ ო რ ი, ე ქ ი მ ი და რ ო ტ მ ი ს ტ რ ი

(კარი ისე იმტვრევა, საკეტი ძვრება და სკამი ყირავდება. შემოდის როტმისტრი. წიგნების შეკვრა ამოუღლიავებია, ხელში ხერხი უჭირავს. პიჯაკი არ აცვია, თმა გასწეწია. შიშნეული, მაგრამ საზარელი შესახედაობა აქვს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტმისტრი. (წიგნებს მაგიდაზე აწყობს). აჰა, ყველა წიგნში ასე წერია!... მაშასადამე, გიჟი არა ვარ!... აი, ოდისეა, პირველი სიმღერა, ორასმეოთხუთმეტე ლექსი. ტელემაქე ათენას ეუბნება:

„დედა მარწმუნებს, რომ შვილი ვარ იმისი (ესე იგი ოდისევსისა), მაგრამ ზუსტად ვერ ვიტყვი, თუ ასეა, რამეთუ კაცსა არა ძალუძს ამის გაგება“.

ტელემაქე პენელოპეს, ქალთა შორის უღირსეულს ქალს, დაუეჭვებია, ჩინებულია! ხომ მართალია? ახლა მოვუსმინოთ წინასწარმეტყველ იეზეკიელს: — მხოლოდ გონებამიხდილი თუ იტყვის: შეხედე, ეს ჩემი მამაო. არავის შეუძლია იცოდეს რომელი ტომისაა. — ცხადია! აქ კი რა არის? მერზლიაკოვის რუსული ლიტერატურის ისტორია: „უდიდესი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი უფრო ცოლის ღალატზე გავრცელებულმა ჭორებმა დაღუპეს და არა ტყვიამ, რომელიც დუელში მოხვდა. სიკვდილის სარეცელზე ისევ იფიცებოდა, ჩემი ცოლი უცოდველიაო“! ვირი, ვირი! ვირი! როგორ იფიცებოდა? აი. ხედავთ, მე ვკითხულობ... აჰ, იონას, აქა ხარ! ექიმიც აქ ყოფილა, რაღა თქმა უნდა! არა გსმენიათ, რა ვუპასუხე ინგლისელ მანდილოსანს, რომელიც ჩიოდა, ირლანდიელებს ჩვევად აქვთ თავიანთ ცოლებს სახეში ანთებული ლამპა ესროლონო? ვუპასუხე: რა პირუტყვები ყოფილან-მეთქი?! პირუტყვებიო? — წაილუღლუღა მან! დიახ, რა თქმა უნდა-მეთქი! — მივუგე მე. — თუ საქმე იქამდე მიდის, რომ მამაკაცი, ქმარი, რომელსაც ცოლი უყვარდა და აღმერთებდა, ხელს სტაცებს ანთებულ ლამპას და სახეში ესვრის, ცხადია...

პასტორი. რა არის ცხადი?

როტმისტრი. არაფერი!... ცხადი არ შეიძლება რაიმე იყოს... მხოლოდ შესაძლებელი შეიძლება იყოს... მართალს ვამბობ. იონას? ირწმუნე და ნეტარ იქნები! ნეტარი?... არა, მე ვიცი, რომ რწმენა ნეტარებას არ შობს! ვიცი მე ეს.

ექიმი. ბატონო როტმისტრო!

როტმისტრი. ჩუმად!... თქვენთან ლაპარაკი არ მნებავს... არ მსურს ვისმინო, ტელეფონივით როგორ გადმოსცემთ ჭორებს მეორე მხრიდან!... გესმით?... მეორე მხრიდან!... ყური მიგდე, იონას, ნუთუ გჯერა, რომ შენ შენი შვილების მამა ხარ? მაგონდება, რომ თქვენსას ლამაზთვალება აღმზრდელი ცხოვრობდა... მაშინ უამრავი ჭორი დადიოდა.

პასტორი. ცოტა ფრთხილად, ადოლფ!

როტმისტრი. შენ კი პარიკქვეშ თავი მოიხინჯე! ჰა? ხომ არ არის იქ ორი ცალი კოპი? ა, გაფითრდი! ჰო, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჭორია... მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენია ეს ჭორი! სასაცილო ცხოველები კი ვართ ჩვენ — ცოლიანები! მართალს არ ვამბობ, ექიმო? თქვენი ცოლქმრული სარეცლის საქმე როგორღაა? შინ რომელიმე ლეიტენანტი ხომ არ გყოლიათ? მოითმინეთ. ახლავე გამოვიცნობ... მას ერქვა... (ექიმს რაღაცას ეჩურჩულება). ხედავთ, ესეც გაფითრდა! ნუ გაჯავრდებით!... თქვენი ცოლი ხომ გარდაიცვალა, დიდი ხანია სამარეში წევს, ხოლო რაც იყო, იმას ვერ შეცვლი! სიტყვამ მოიტანა და მე ვიცნობდი იმ ლეიტენანტს... ახლა ის... თვალებში შემომხედეთ, ექიმო... არა, არა, პირდაპირ თვალებში... დრაგუნთა პოლკშია, მაიორია! ღმერთმანი, მგონი, ამასაც რქები აქვს!

ექიმი. (ტანჯვით). ბატონო როტმისტრო, მოდით სხვა რამეზე ვილაპარაკოთ!

როტმისტრი. აი, ხედავთ, როგორც კი რქები ვახსენე, საუბრის თემის შეცვლა მოიგუნება.

პასტორი. იცი. ჩემო ძმაო, შენ ხომ ავად ხარ... სულით...

როტმისტრი. ეს თვითონ ჩინებულად ვიცი... მაგრამ ცოტა მადროვეთ, თქვენი შუბლის სამკაულებს მივხედო. თქვენც მოგიწევთ მათი დამალვა. გიჟი ვარ, გიჟი, მაგრამ რამ გადამიყვანა ჭკუიდან? ეს თქვენ არ გეხებათ... არც არავის ეხება! გნებავთ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ? (მაგიდიდან ფოტოსურათებიან ალბომს იღებს). ღმერთო, ჩემი ქალიშვილი! ვითომ ჩემი?! არ შეიძლება ამის გაგება? იცი, როგორ უნდა მოიქცე, რომ სინამდვილე გაიგო?... თავდაპირველად, საზოგადოებრივი მდგომარეობის მოსახვეჭად, ცოლი უნდა შეირთო, შემდეგ მაშინვე განქორწინდე და ცოლი და ქმარი ერთმანეთის საყვარლები გახდეთ... შემდეგ ბავშვები იშვილოთ... მაშინ შეიძლება დარწმუნებული მაინც იყო, რომ ესენი ჩვენი ნაშვილები შვილები არიან! ხომ მართალს ვამბობ? მაგრამ ეს ყველაფერი ახლა რაღა საჭიროა? ჩემთვის რა საჭიროა, როცა მარადიულობის ჩემეული იდეა წამართვით? რას მომცემს მეცნიერება და ფილოსოფია, როცა ცხოვრების მიზანი არა მაქვს? რად მინდა თვით სიცოცხლე, როცა პატიოსნება და ღირსება აღარა მაქვს. მე ჩემი მარჯვენა ხელი, ჩემი თავისა და ზურგის ტვინის ნახევარი სხვა დროს დავამყენი. ვინაიდან მწამდა, რომ ეს სიცოცხლეს მისცემდა ერთადერთ, მაგრამ უფრო სრულყოფილ მცენარეს... უცებ კი ვიღაც დანით მოდის, ზროს ნამყნობის ქვემოთ ჭრის... და მე ნახევარი ხე ვრჩები, ხოლო ის, ჩემი მარჯვენა ხელი და ჩემი ტვინის ნახევარი რომ აქვს, იზრდება, სამაგიეროდ, მე ვქრები, ვიღუპები, ვინაიდან ჩემი საუკეთესო ნაწილი გავეცი... ახლა მე მოვკვდები! რაც გინდათ, ის მიყავით... მე უკვე აღარ ვარსებობ!

(ექიმი და პასტორი ჩურჩულებენ და მარჯვენა კარში გადიან. მაშინვე შემოდის ბერტა).

მეექვსე გამოსვლა

როტმისტრი, ბერტა, შემდეგ ძიძა

(როტმისტრი თავჩაქინდრული ზის მაგიდასთან.)

ბერტა. (უახლოვდება). მამა, ავად ხარ?

როტმისტრი. (შეურაცხყოფილი კაცის გამომეტყველებით აჩერდება). მე?

ბერტა. იცი. რა გააკეთე? გახსოვს, დედას ლამპა რომ ესროლე?

როტმისტრი. მე?... ვესროლე?..

ბერტა. შენ, მაშ!... აბა დაფიქრდი, რა მოხდებოდა, რამე რომ დაშავებოდა!

როტმისტრი. რა მოხდებოდა?

ბ ე რ ტ ა. შენ ჩემი მამა არა ხარ, რაკი ასე ლაპარაკობ.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რა თქვი! შენი მამა არა ვარ? საიდან იცი ეს? ვინ გითხრა? მაშ, ვინღაა შენი მამა? ვინ?

ბ ე რ ტ ა. ყოველ შემთხვევაში, შენ არა ხარ!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რაღა თქმა უნდა, მე არა ვარ! მაგრამ მაინც ვინ არის? ვინ? გეტყობა, ზუსტად იცი! ვინ გაუწყა? იმასაც მოვესწარი, რომ ჩემი ქალიშვილი მოდის და პირდაპირ პირში მახლის, ჩემი მამა არა ხარო! არ გესმის, რომ ამ სიტყვებით საკუთარ დედას სახელს უტეხავ? არ გესმის, რომ ეს მისი სირცხვილია, თუკი სიმართლეს შეეფერება?

ბ ე რ ტ ა. დედას ცუდად ნუ ახსენებ!... გესმის?.

, რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. თქვენ ყველანი ერთმანეთს უჭერთ მხარს! ყველანი ჩემს წინააღმდეგა ხართ შეთქმულნი! ასე იყო ყოველთვის!

ბ ე რ ტ ა. მამა!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არ გაბედო ამ სიტყვის წარმოთქმა!

ბ ე რ ტ ა. მამა! მამა!

რ ო ტ მ ი ს ტ რ.ი. (ქალიშვილს თავისკენ იზიდავს) ბერტა, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო გოგონი! შენ ხომ ჩემი ქალიშვილი ხარ! დიახ, დიახ! ნამდვილად ჩემი ხარ! აბა, რა! რაცა ვთქვი, ბოდვა იყო ავადმყოფისა, ბოდვა, რომელიც ქარს მოაქვს და შავი ჭირივით ან ციებ-ცხელებასავით ქრება! აბა, შემომხედე, რომ შენს თვალებში ჩემი სული დავინახო! მაგრამ მე მათში დედაშენის სულსაც ვხედავ! შენ ორი სული გაქვს: ერთს ვუყვარვარ. მეორეს ვძულვარ! შენ კი მხოლოდ მე უნდა გიყვარდე! ერთი სული უნდა გქონდეს, თორემ მოსვენებას დაკარგავ ჩემსავით. მხოლოდ ერთი აზრი უნდა გქონდეს — შვილი ჩემი აზრისა, და ერთი ნება — ჩემეული ნება!

ბ ე რ ტ ა. არა, ასე არ მინდა! მე მსურს მე ვიყო!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ვერ გაბედავ... მე კაციჭამია ვარ... შეგჭამ! დედაშენს უნდოდა შევეჭამე, მაგრამ ვერ შეძლო. მე კი სატურნი ვარ, რომელმაც თავისი შვილები შეჭამა, ვინაიდან უწინასწარმეტყველეს, თუ მათ არ შეჭამ, ისინი შეგჭამენო. შენც შეგჭამე, თორემ თვითონ შეგჭამ! აი, როგორ დგას საქმე! მე თუ ვერ გადაგულაპე, შენ გადამულაპავ! შენ კი უკვე გამოამყლავნე, რაცა ყოფილხარ! ნუ გეშინია, ძვირფასო გოგონი, არაფერს გატკენ.

(მიდის იარაღებთან და რევოლვერს იღებს).

ბ ე რ ტ ა. (გაქცევა უნდა). დედა! მიშველე... მომკლავს!

ძ ი ძ ა. (შემოდის). რას შვრები. ადოლფ?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. (რევოლვერს ათვალიერებს). შენ ამოიღე ვაზნები?

ძ ი ძ ა. ჰო, ჰო,.. მე ამოვიღე. შენ კი დაჯექი ჭირიმე, მშვიდად იყავი და ვაზნებს მოგიტან. (როტმისტრს ხელს ჰკიდებს და სკამთან მიჰყავს, რომელზეც როტმისტრი გულგრილად ჯდება, ძიძა კი გიჟის პერანგს იღებს და სკამის უკან დგება. ბერტა გადის). გახსოვს, ადოლფ, პატარა რომ იყავი, როგორ გაფარებდი საბანს და ღმერთს ვევედრებოდი, კეთილი თვალით გადმოეხედა შენთვის? — გახსოვს, როგორ ვდგებოდი ღამ-ღამე და წყალს გალევინებდი? როგორ ვანთებდი სინათლეს და ლამაზ ზღაპრებს გიყვებოდი, როცა ხანდახან ცუდი რაღაცეები გესიზმრებოდა და დიდხანს ვერ იძინებდი? გახსოვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ილაპარკე, კიდევ ილაპარკე. მარგრეტ! შენი ხმა ტკბილი რულივით მამშვიდებს... კიდევ თქვი რამე!

ძ ი ძ ა. ოღონდ ყურადღებით მისმინე! გახსოვს, ერთხელ სამზარეულოს დიდი დანა რომ აიღე და გინდოდა პატარა გემები გამოგეჭრა. მე კი შემოვედი და მოტყუებით გამოგართვი... იძულებული გავხდი, დანა მოტყუებით გამომერთმია, ვინაიდან არ გჯეროდა, რომ შენთვის სიკეთე სურდათ. გითხარი: მომეცი ეს გველი, თორემ გიკბენს-მეთქი... შენც დანა გააგდე. (რევოლვერს ართმევს). და კიდევ, როცა ჩაცმა არ გინდოდა, რამდენს მაწვალებდი... გიყვებოდი ხოლმე, რომ ოქროს სამოსს მოგცემდნენ და მეფისწულივით ივლიდი... აიღებდი აზღუდს — მაშინ მწვანე შალის აზღუდი გქონდა, — ხელში დაიჭერდი და ამბობდი: აბა, ახლა არ გაინძრე, ვიდზე ზურგზე არ შეგიკრავო (ძიძა როტმისტრს პერანგს აცმევს). შემდეგ ამბობდი: ახლა კი ადექი და ოთახში გაიარე, მე კი შემოგხედავ, როგორ გადგას ტანზეო... (ძიძას დივანისკენ მიჰყავს როტმისტრი). შემდეგ მე გეტყოდი: ახლა კი დაწექი-მეთქი.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რას მეუბნები? ტანსაცმლიანად დავწვე? დასწყევლოს ეშმაკმა, ეს რა მიქენი? (ცდილობს თავი გაითავისუფლოს). ცბიერო ალქაჯო! ვინ იფიქრებდა, რომ საამისო ჭკუა გექნებოდა? (დივანზე ეცემა). დამიჯირეს! შემბორკეს, მომატყუეს... სიკვდილიც არ შემიძლია ჩემს ნებაზე!

ძ ი ძ ა. მაპატიე, ადოლფ, მაგრამ მინდოდა ხელი შემეშალა, რომ ბავშვი არ მოგეკლა.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. რატომ არ მაცალე მისი მოკვლა? სიცოცხლე ჯოჯოხეთია, ხოლო სიკვდილი სასუფეველი ცათა, ბავშვების ადგილი კი ზეცაზეა.

ძ ი ძ ა. შენ რა იცი, სიკვდილის შემდეგ რა იქნება?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ამის მეტი რა ვიცით! სიცოცხლის შესახებ კი არაფერია ცნობილი! ო, რა იქნება, ეს თავიდანვე რომ გვაცოდინა!

ძ ი ძ ა. შენ კი, ადოლფ, ღრძო გული დაიწუნარე და ღმერთს შეწყალება სთხოვე!... ჯერ კიდევ არაა გვიან! ყაჩაღი რომ ყაჩაღია, მონანიება იმისთვისაც არ აღმოჩნდა ნაგვიანევი, და მაცხოვარმა უთხრა: ამ საღამოსვე ჩემთან იქნები სამოთხეშიო!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ისე დამჩხავი, როგორც მიცვალებულს ბებერი ყვავი! (ძიძა ჯიბიდან ფსალმუნს იღებს. როტმისტრი ნიოიდს უხმობს). ნიოიდ! სადაა ნიოიდი! (შემოდის ნიოიდი). მომაშორე ეგ დედაკაცი! თავისი ფსალმუნით სამარის კარამდე მივყავარ! გადაუძახე ფანჯარაში, საკვამურში. სადაც გინდა!...

ნ ი ო ი დ ი. (ძიძას უცქერის). არ შემიძლია, ბატონო როტმისტრო! ღმერთმანი არ შემიძლია! აქ რომ ვაჟკაცები იყვნენ, გინდაც ნახევარი დუჟინი იყვნენ, სხვა ამბავია, ქალი კი, ისიც ერთი, არ შემიძლია!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არ შეგიძლია ქალს მოერიო? არა?

ნ ი ო ი დ ი. როგორ ვერ მოვერევი! მაგრამ ქალები განსაკუთრებული არსებები არიან, მათზე ხელს ვერ აღმართავ.

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მაინც რანი არიან? მათ ჩემზე ხომ აღმართეს ხელი?

ნ ი ო ი დ ი. მე კი არ შემიძლია, ბატონო როტმისტრო! არა, არ შემიძლია!

მეშვიდე გამოსვლა

ი გ ი ვ ე ნ ი დ ა ლ ა უ რ ა

(ლაურა ნიოიდს აძლევს ნიშანს, ოთახიდან გადიო).

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ომფალე! ომფალე! შენ კვერთხს ატრიალებ, ჰერაკლე კი შენს მატყლს ართავს.

ლ ა უ რ ა. (დივანთან მიდის). ადოლფ, შემომხედე, მითხარი. მტრად მიგაჩნივარ თუ არა?

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. დიახ, მიმაჩნიხარ! ყველანი ჩემს მტრებად მიმაჩნიხართ! დედაჩემი, რომელსაც ჩემი დაბადება არ უნდოდა, რადგან მშობიარობის ტკივილების ეშინოდა, ჩემი მტერი იყო, რამეთუ ჩემი სიცოცხლის ჩანასახს ნამდვილი საკვები მოაკლო და ხეიბრად მაქცია. და, რომელიც ჩემს მორჩილებას მოითხოვდა, ჩემი მტერი იყო. პირველი ქალი, რომელიც გულში ჩავიკარი, ჩემი მტერი იყო, ვინაიდან სიყვარულისთვის ჯილდოდ ათი წლის ავადმყოფობა მომაგო. ჩემი ქალიშვილიც მტრად მექცა, როცა მე და შენს შორის ერთ-ერთი უნდა აერჩია. შენ — ჩემი ცოლი — დაუძინებელი მტერი იყავი ჩემი, იმიტომ, რომ მანამ არ მომასვენე, სანამ ცოცხალ ლეშად არ მაქციე.

ლ ა უ რ ა. არ ვიცი, ოდესმე მიფიქრია თუ არა იმაზე, მინდოდა თუ არა ის, რაც შენი სიტყვებით მე გავკეთე. შესაძლოა, იდუმალი სურვილი მქონდა სულში ჩაბუდებული, ჩამომეშორებინე, როგორც ხელისშეშლელი, მაგრამ ვერ ვამჩნევდი, რომ წინასწარ ჩაფიქრებული გეგმით ვმოქმედებდი, თუმცა შესაძლოა ასეც იყო. მოვლენებს ვერასდროს ვერ ვწინასწარმეტყველებდი, ისინი თითქოსდა რელსებზე მოხრიალებდნენ, რელსებზე, რომელთაც შენ თვითონ აგებდი... და ვფიცავარ მაღლით ღმერთსა და დაბლით საკუთარ სინდისს, რომ თავი უდანაშაულოდ მიმაჩნია, თუნდაც დამნაშავე ვიყო. თვითონ ფაქტი შენი არსებობისა გულზე ლოდად მაწვა... ეს ლოდი მაწვებოდა და მაწვებოდა მანამ, სანამ გული მის მოცილებას არ შეეცადა. ეს, რა თქმა უნდა, ასე იყო, და თუ უნებლიეთ დარტყმა მოგაყენე, მომიტევე!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. შენი ნათქვამი სიმართლესა ჰგავს! მაგრამ მე რა? ვინაა დამნაშავე? იქნებ სულიერი ქორწინება! წინათ ქალს იმისთვის ირთავდნენ, რომ ცოლი ჰყოლოდათ. ახლა კომპანიონ ქალთან ერთად აგებენ სახლს, ანდა ერთ ბინაში სახლდებიან მეგობარი ქალითურთ! შემდეგ კომპანიონი ორსული აღმოჩნდება, მეგობარი ქალი — სახელგატეხილი! მაგრამ სადაა სიყვარული, ჯანსაღი, ვნებიანი სიყვარული? იგი მოკვდა! მერედა, როგორი შთამომავლობა შეიძლება გაჩნდეს ამ უსახელო აქციებზე დამყარებული სიყვარულის შედეგად, თანაბარი პასუხისმგებლობის გარეშე? და ვინ იქნება განმცხადებელი, ოჯახი კრახი მოხდა? ვინაა სულიერი ბავშვის მამა? ფიზიკურად?

ლ ა უ რ ა. შენი ეჭვები ბერტას თაობაზე უსაფუძვლოა!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. სწორედ ეგაა საშინელება! ნეტავ, რაღაც საფუძველი მაინც ყოფილიყო, რისთვისაც შეიძლებოდა ხელი მოგეჭიდა, რასაც შეიძლებოდა მობღაუჭებოდი. ახლა კი ეს მხოლოდ ჩრდილებია, რომელთაც ბუჩქებიდან თავი გამოუყვიათ და დაგცინიან. ეს ხომ იგივეა, ქარის წისქვილებს ებრძოლო, საცდელი ბრძოლები ჩაატარო და ცარიელი ვაზნები გაისროლო. მრისხანე სინამდვილე წინააღმდეგობას გამოიწვევდა. გაიძულებდა დაძაბულიყავი, სულიც დაგეძაბა და გულიც, ახლა კი... აზრები ნისლად იქცევა, ტვინი ბრუნავს, ტრიალებს, ვიდრე ცეცხლი არ მოედება! თავქვეშ ბალიში ამომიდე! და რაიმე მომახურე! მცივა! საშინლად მცივა! (ლაურა თავშალს აფარებს. ძიძა ბალიშის მოსატანად მიდის).

ლ ა უ რ ა. მომეცი ხელი, მეგობარო!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ხელი? რომელიც ზურგსუკან გამიკარი?... ომფალე! ომფალე!.. სახესთან შენს თბილ თავშალს ვგრძნობ... შენი ხელივით თბილსა და ნაზს... და ვანილის სუნი ასდის ისევე, როგორც შენს თმას ასდიოდა, როცა ახალგაზრდა იყავი... შენ ახალგაზრდა იყავი, ლაურა, არყნარში ვსეირნობდით, პირველ ყვავილებს ვთელავდით და შაშვების გალობას ჩვენი სიყვარულის სიმღერაც ენივთებოდა! რა კარგი იყო მაშინ! რა კარგი! რა ლამაზი იყო მაშინ ცხოვრება და რა მკაცრი გახდა... შენ არ გინდოდა, არც მე მინდოდა და მაინც ასეთი გახდა. ნეტავ ვინ წარმართავს ცხოვრებას!..

ლ ა უ რ ა. მხოლოდ ღმერთი...

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. მაშასადამე, ბრძოლის ღმერთი! ანდა ახლა — ბრძოლის ქალღმერთი. მომაშორე ეს კატა! ჩამოაგდე! (შემოდის ძიძა, შემოაქვს ბალიში და თავშალს აცლის). სამხედრო სერთუკი მომეცი... მომახურე. (ძიძა საკიდარიდან სერთუკს ხსნის და აფარებს). აი, ჩემი ლომის უხეში ტყავი, რომლის წართმევასაც მიპირებდი! ომფალე! ომფალე! ცბიერი ქალი ხარ შენ, მშვიდობისა და ნგრევის მქადაგებელი! გამოფხიზლდი, ჰერაკლე, ვიდრე შენთვის კვერთხი არ წაურთმევიათ! გინდა ჩვენც დაგვტყუო აბჯარ-აბგარი, ირწმუნები, ეს უბრალო სამკაულიაო! არა, ვიდრე სამკაული გახდებოდა, იგი რკინა იყო! წინათ საბრძოლო სამოსს მჭედელი აკეთებდა, ახლა თერძი კერავს. ომფალე! ომფალე! უხეში ძალა ვერაგულმა მზაკვრობამ დაამარცხა. ფუი! კუდიანო! წყეულიმც იყოს შენი სქესი! (წამოიწევს რომ გადმოაფურთხოს, ისევ დივანზე ეცემა). ეს რა ბალიში მომიტანე, მარგრეტ? მაგარია და საოცრად ცივი, ცივი! ახლოს მომიჯექი!... ამ სკამზე დაჯექი. აი, ასე... მოდი, თავს მუხლებზე დაგიდებ... აჰ... ახლა მთბილა! დაიხარე, რომ შენი მკერდი ვიგრძნო! რა კარგია ქალის მკერდზე თვლემა, სულერთია, დედა იქნება თუ საყვარელი... მაგრამ ყველაზე სასიამოვნოა, თუ დედაა!

ლ ა უ რ ა. ადოლფ, გინდა შენს ქალიშვილს დავუძახო?.. მიპასუხე!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. ჩემს ქალიშვილს? მამაკაცებს შვილები არა ჰყავთ! მხოლოდ ქალებს ყავთ შვილები. ამიტომაც მომავალი მათია... ჩვენ უშვილოდ ვკვდებით!.. ო, ღმერთო მაღალო!

ძ ი ძ ა. გესმით, ღმერთს ევედრება!

რ ო ტ მ ი ს ტ რ ი. არა, შენ გევედრები, რომ ნანა მითხრა და დამძინო... მე დავიღალე... საშინლად დავიღალე... საშინლად დავიღალე!.. ღამე ნებისა!

(წამოიწევს და ყვირილით ეცემა ძიძას მუხლებზე).

მერვე გამოსვლა

ი გ ი ვ ე ნ ი, ე ქ ი მ ი და პ ა ს ტ ო რ ი

(ლაურა მარცხნივ მიდის და ექიმს ეძახის. ექიმი პასტორთან ერთად შემოდის).

ლ ა უ რ ა. ექიმო! გვიშველეთ, თუ ჯერ კიდევ გვიან არაა! იგი აღარ სუნთქავს!

ე ქ ი მ ი. (მაჯისცემას უსინჯავს). დამბლა დაეცა!

პ ა ს ტ ო რ ი. გარდაიცვალა.

ე ქ ი მ ი. შეიძლება კიდეც გამოკეთდეს, მაგრამ რა იქნება მისი სიცოცხლე, კაცმა არ იცის.

პ ა ს ტ ო რ ი. სიკვდილის შემდეგ განკითხვის დღე დგება..

ე ქ ი მ ი. არავითარი განკითხვის დღე და არავითარი ბრალდება! თქვენ გჯერათ, რომ ღმერთი განაგებს ადამიანთა ბედს!... მაშ, ეგაასეთ მას ამ შემთხვევის შესახებ.

ძ ი ძ ა. ექიმო, უკანასკნელ წუთს მან ღმერთს მიმართა!

პ ა ს ტ ო რ ი. (ლაურას). მართლა?

ლ ა უ რ ა. მართლა.

ე ქ ი მ ი. თუ ასეა, რაზეც მე ძალიან ცოტა რამის თქმა შემიძლია, ისევე, როგორც ავადმყოფობის მიზეზებზე, ჩემი ოსტატობა ამოწურულია! სცადეთ თქვენი ოსტატობა მოიშველიოთ, ბატონო პასტორო!

ლ ა უ რ ა. მერედა, მხოლოდ ამის თქმა შეგიძლიათ სასიკვდილო სარეცელთან, ბატონო ექიმო?

ე ქ ი მ ი. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია! მეტი არა ვიცი რა! ვინც მეტი იცის, დაე, იმან ილაპარაკოს!

ბ ე რ ტ ა. (შემოდის მარჯვნიდან, დედასთან მირბის).

დედა, დედა!

ლ ა უ რ ა. ჩემო შვილო! ჩემო საკუთარო შვილო!

პ ა ს ტ ო რ ი. ჭეშმარიტად!

(ფარდა)

თარგმნა **აკაკი ბრეგაძემ.**

«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»
(«СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО»)
№ 10, 1984
ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

УТВЕРЖДАТЬ ПРАВДУ ЖИЗНИ, ВЫСОКИЕ ИДЕАЛЫ СОЦИАЛИЗМА

В журнале печатается речь товарища К. У. Черненко на юбилейном пленуме правления Союза писателей СССР 25 сентября 1984 года (стр. 2).

Отар Долидзе

ШКОЛЬНАЯ РЕФОРМА И ЭСТЕТИЧЕСКОЕ ВОСПИТАНИЕ УЧАЩЕЙСЯ МОЛОДЕЖИ

Статья заместителя министра просвещения ГССР касается актуальных проблем школьной реформы в области художественного и эстетического воспитания учащихся (стр. 11).